წელიწადი მეოთხე ფასი 10 კ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური
და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 22 აპრილი
1928 წელი

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება
გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, ტფილისი რუსთაველ ს პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით ტფილისი, რევოლუციის მუზეუმი—პიტრა ჟღენტს.

№ 66 (14)

## ჟურნალის შინაარსი

ძველი უაზრობა ახალ სამოსელში—**ყარიბი**; პუანკარეს მთავრობის პოლიტიკის ანტისაბჭოთა კურსი—**კ. ჭეიშვილი**; მომავალი საზოგადოების ახალი ქალი—**ლეო შენგელაია**; ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის—**ნ. ელიავა**; რა ვნახე საბჭოთა კავშირში—**ლი—ლი**; რას ამბობენ ფაქტები—**ვლ. პაპავა**; ადგილობრივი მრეწველობა—**ი. ნარსია**; მშრომელი ახალგაზრდობის მორიგი ამოცანები—**შოთა გოგუა**; გურიის სამეურნეო პერსპექტივები—**გურული**; ვედრება—ლექსი—**კატო მიქელაძე**; ია და ქარი—**დ. თურდოსპირელი**.

# ძველი უაზრობა ახალ სამოსელში

## ს. დევდარიანის „საქართველოს ეკონომიკის საკითხები“-ს გამო

### III

დავუჯეროთ მოქ. ს. დევდარიანს: გადავაქციოთ საქართველო „მხოლოდ ნედლეულის არედ“ ვუგზავნოთ „ნედლი მასალა სხვა ქვეყნებისმრეწველობას“.

მაშ ასე: გაუმარჯოს სოფლის მეურნეობას! ძირს მრეწველობა!

მაგრამ აქაც რომ ცუდათ გვქონია საქმე? სოფლის მეურნეობაც რომ საზარალოდ და სავალალოდ გვქონია დაყენებული! აქაც რომ ყოველივე ჩვენი წამოწყება მხოლოდ და მხოლოდ საზარალო ყოფილა მეურნეებისათვის!

არა გჯერათ? აბა გაეცანით მოქ. ა. ჭუმბურიძის „ნედლეულის პრობლემას“, რომელიც დაბეჭდილია „საქართველოს ეკონომისტი“-ს იმავე ნომერში, რომელშიც დაბეჭდილია მოქ. დევდარიანის უნათლო წერილი.

მოქ. ჭუმბურიძის წერილი მრავალ ნაირათ და მრავალ მხრივ არის საინტერესო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ წერილის მხოლოდ ერთ მხარეზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. დასახელებული წერილის ავტორი სულ თავდაყირა აყენებს ჩვენს წარმოდგენას გლეხზე და მის ფსიქოლოგიაზე.

დღემდე ლიტერატურიდან თუ პირადი დაკვირვებით ჩვენ ვიცოდით, რომ გლეხი მეტისმეტად წინ დახედულია, მეტის მეტად კონსერვატორია, რომ იგი, სანამ თავისი პირადი გამოცდილებით, თავისი საკუთარი ხუთივე გრძნობით არ დარწმუნდება, რომ ახალი მისთვის სასარგებლოა, არასოდეს არ უღალატებს თავის ძველ ჩვეულებას. ჩვენ ვიცით, რომ გლეხებს შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ლხინს. ის ყველაზე უფრო უფრთხილდება ახალ რამეს თავისი მეურნეობაში. რაც უნდა უმტკიცო, მთელი ქვეყნის სტატისტიკური გამოკვლევებიც, რომ იმოწმო იმის და სამტკიცებლად, რომ ახალი კულტურა ძველს ათასწილად სჯობია, გლეხი მაინც არ დაგიჯერებს. მან თვითონაც ჩინებულად იცის, რომ სიმინდის კულტურა მის შრომას სანახევროდაც არ აჯილდოებს,მაგრამ იმაში კი ვერ დააჯერებ, რომ ამ კულტურის შეცვლა აუცილებლად საჭიროა რაიმე სხვა უფრო ფასიანი კულტურით.

გლეხი პირველად არ ენდობა ახალ მანქანებს სოფლის მეურნეობაში, სანამ ამ მანქანების უპირატესობაში ის თვითონ თვისი ხუთივე გრძნობით არ დარწმუნდება. ამ სტრიქონების დამწერს პირადათ ახსოვს ასეთი მაგალითი. 1925 წელს გორის მაზრაში, სამთავისის კომუნამ სალეწი მანქანა შეიძინა, რომელიც მას, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, 14.000 მანეთი დაუჯდა. კომუნას მხოლოდ სამასიოდე დესეტინა მიწა ძლივს ქონდა და ასეთი დიდი მანქანის სამყოფი სალეწი პური საიდან ექნებოდა? მეზობელმა გლეხებმა კი ახლოსაც არ გაეკარენ მანქანას. ვერავითარმა პროპაგანდამ და აგიტაციამ ვერ გასჭრა. გლეხებს ეპატიჟებოდენ, უხსნიდენ მანქანის დიდ მნიშვნელობას, აჩვენებდენ მას მუშაობის დროს, თვალცხადლივ უმტკიცებდენ მის მომგებიანობას... გლეხები მაინც უნდობლად უყურებდენ ამ ახალ საკვირველებას.

— რატომ არ გინდა ხალხო, ისარგებლო ამ იაფი და კარგი მანქანით?— ეკითხებით მათ.

— რავიცი შენი კვნესამე. კარგია, მაგრამ პური რომ დასწვას და გემო გაუფუჭოს?— იძლეოდენ პასუხათ. მეტი რომ ვერაფერი მოიმიზეზეს, ყველა ამ ვილაცას მიერ

წამოსროლილ არგუმენტს აწვებოდა. პირველ წელიწადს მანქანა ნახევრად უსაქმოთ იდგა...

მხოლოდ მას შემდეგ როცა გლეხებმა ამ მანქანით გალეწილი პურიდან გამომცხვარი იგემეს, როცა იგი კალოზე სალეწ ხორბლიდან გამომცხვარ პურს შეადარეს, როცა დაინახეს, რომ მანქანას პური არ გაუფუჭებია, გლეხები ნდობით მივიდენ მანქანასთან, ნდობა გამოუცხადეს ამ რკინის გველეშაპს და 1926 წელს საიდან არ მოქონდათ გლეხებს გასალეწი პური სამთავისის კომუნაში? და თუ ძველად სარწმუნოების ქსელში გახვეული გლეხები რომელიმე „ძლიერ“ ხატს მოასვენებდენ სოფლიდან სოფლად, გორის მაზრის გლეხები თავისი მაზრის სხვა და სხვა პუნქტებში დაატარებენ სამგორის კომუნის სალეწავ მანქანას და ლეწენ თავის ჭინახულს. ჩვენ თვითონ გვინახავს დაუვიწყარი სურათი: ეს უზარმაზარი მანქანა აღარც კი სჩანდა პურის ძნებიდან დამდგარ მთეებში და გლეხის დედაკაცები თავისი ხელით აყრიდენ პირში პურის ძნებს ამ რკინის გველეშაპს, რომელიც ხალას ოქროთ ქცეულ ხორბალს უბრუნებდა მათ.

ასევე უნდობლად შეხვდა გლეხი ტრაქტორსაც... მაგრამ მას შემდეგ როცა დარწმუნდა, რომ მამაპაპეულ გუთანს ის ათასწილად სჯობია, რომ ის უფრო სასარგებლოა, როცა მან თავისივე თვალებით დაინახა, რომ ტრაქტორი დღეში 2-3 დესეტინა მიწასა ხნავს მაშინ როცა მამაპაპეული გუთანი 7-8 უღელი ხარ-კამეჩით და სამი ოთხი კაცით მხოლოდ ერთ დღიურს, ესე—იგი ნახევარ დესეტინასა ხნავს... როცა გლეხმა დაინახა, რომ ტრაქტორით დესეტინა მიწის დახვნა მას უჯდება 11-12 მანეთი, მაშინ, როცა მამა-პაპეული გუთნით ერთ დესეტინა მიწის დახვნა 50—54 მანეთი უჯდება, მოგეცათ ლხენა მას ტრაქტორი შეუყვარდა! და იმავე სამთავისის კომუნის კანტორის კარებთან დღე და ღამე გვინახავს აწუზული გლეხები, რომლებიც კომუნის გამგეს ემუდარებოდენ: გვიყავი სიკეთე და ჩემი მიწა რიგში შეიტანე და „დამიტრაქტორეთ“.

ეს მაგალითები იმას გვეუბნებიან, რომ გლეხი მეტის-მეტად წინდახედული და, თუ გნებავთ, მეტის-მეტად კონსერვატორიც არის. რომ ის შეჩვეულ ჭირს ამჯობინებს შეუჩვეველ ლხინს და ისე არ დააგდებს ძველ კულტურას თუ ახალის უპირატესობაში თავისი ხუთივე გრძნობით არ დარწმუნდა.

ასე ვიცნობდით ჩვენ ქართველ გლეხს, ასე წინდახედულად მიგვაჩნდა იგი. მაგრამ დღეს მოქ. ჭუმბურიძის ახალი გამოკვლევიდან ვრწმუნდებით, რომ ქართველი გლეხი გაგიჟებულა, რომ მას ჭკუა დაუკარგავს, რომ მას დღეს სრულიად მოუფიქრებლად, უანგარიშოთ, საქმის გამოურკვევლად და გამოუცნობლად მიუნებებია თავი პურისა და სიმინდის თესვისათვის და ხელი მოუკიდებია ისეთი აშკარა საზარალო მეურნეობისათვის, როგორიც თუ მოქ. ჭუმბურიძეს დავუჯერებთ, მებამბეობა და მეთამბაქოება ყოფილა.

არა გჯერათ? როგორ შეიძლება იჭვი შეიტანოთ ამაში, როცა ისეთ უაღრესად ავტორიტეტულ ორგანოში, როგორც „საქართველოს ეკონომისტი“-ა შავით თეთრზე დაწერილს შემდეგს ვკითხულობთ:

„ერთი ფუთი აფხაზეთის თამბაქოს თვითღირებულება პლანტატორისთვის უდრის 28 მანეთს. აქედან სჩანს. რომ აფხაზეთის გლეხს სისტემატიურად არ უნაზღაურდება თამბაქოს თვითღირებულება. „ნედლი ბამბის თვითღირებულება მებამბისათვის დაახლოებით 7 მანეთს უდრის ფუთზე, ფასს კი გლეხი იღებს არა უმეტეს 4 მ. 80 კაპ.“ (იხ. „საქართველოს ეკონომისტი“, № 1(17) 1928 წელი( გვ. 41-42). „1925 წელს თამბაქოს საშუალო ფასი 23 მ. 57 კაპ. უდრიდა 1927 წელს კი მან დაიწია 21 მ. 78 კაპეიკამდე“. (იქვე გვ. 41).

საიდან გაიგო მოქ. ჭუმბურიძემ ასეთი საშინელება? საიდან მიიღო ციფრები თავის ასეთ დასკვნებისათვის?

როგორც ვიცით, ჯერ ჩვენ არ გაგვაჩნია ასე თუ ისე სერიოზული სტატისტიკური და ეკონომიური გამოკვლევა თამბაქოს თვითღირებულებისა. არსებობს მხოლოდ აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირის მიერ შედგენილი თამბაქოს თვითღირებულების კალკულიაცია, რომლიდანაც სჩანს, რომ ერთი დესეტინა თამბაქოს მოწევა პლანტატორს უჯდება 1.523 მ. 70 კაპ. ეს ციფრი სახალხო ვაჭრობის კომისარის რწმუნებულს დაუყვანია 1.400 მანეთამდე... ეს არის და ეს...

მოქ. ჭუმბურიძეს, ალბად, როგორც ოთხი მოქმედების კარგად მცოდნე ეკონომისტს, რა კი ისიც სცოდნია, რომ აფხაზეთში დესეტინაზე 50 ფუთ თამბაქოს ანგარიშობენ, 1400 მანეთი გაუყვია 50-ზე და მიუღია 28 მანეთი ერთი ფუთი თამბაქოს თვითღირებულება.

ავტორი სულაც არ უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირის დასახელებულ „გამოკვლევას“ არ შეიძლება მიენიჭოს სერიოზული გამოკვლევის მნიშვნელობა. ჯერ ერთი ის, რომ კავშირს თავისი „გამოკვლევისთვის“ მიუმართავს შერჩევით მეთოდისთვის, რაც ასეთ შემთხვევაში, როცა თვითოეული კაპეიკი ბუჰლალტერული სინამდვილით უნდა აღვადგინოთ, მიუღებელია. მეორე ის, რომ კავშირს თავის „გამოკვლევისთვის“ უსარგებლებია ცნობებით, რომლის შედარება მას მიუნდვია ძირითადი კოოპერატივებისათვის და ამ უკანასკნელებს კი თავისი ცნობები მიუღია პლანტატორების წარმომადგენლებისაგან, ესე იგი თვით დაინტერესებული პირების საშუალებით.

ეს არის და ეს ერთად ერთი წყარო, რომელზეც მოქ. ჭუმბურიძე ამყარებს თავის გამოკვლევას და თამბაქოს თვითღირებულებას ფუთზე საშუალოდ 28 მან. აცხადებს.

როგორც გვეუბნებიან, მოქ. ჭუმბურიძე თამბაქოს საქმესთან დიდათ დაახლოებული ყოფილა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ის იცნობდა მეორე დოკუმენტსაც, რომელიც შედგენილია 1926 წელს და ეხება აჭარისტანის თამბაქოს თვითღირებულებას. ამ დოკუმენტიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი დესეტინა თამბაქოს დამუშავება და მოწევა გლეხს უჯდება 1.126 მანეთი. თამბაქოს კი იღებს 1.500 მანეთის ღირებულებისას, რაც პლანტატორს ერთ დესეტინაზე აძლევს 374 მანეთ წმინდა მოგებას... სამწუხაროა, რომ მოქ. ჭუმბურიძე სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევს ამ დოკუმენტს, თუმცა ეს უკანასკნელი თუ მეტი არა, იმდენივე მნიშვნელოვანი მაინც არის, რამდენადაც პირველი დოკუმენტი...

კიდევ ერთი შენიშვნა: მოქ. ჭუმბურიძე გვეუბნება, რომ თამბაქოზე, საშუალო ფასი 1925 წელს ყოფილა 23 მ. 57 კაპ. და რომ ეს ფასი 1927 წელს დაწეულა 21 მ. 78 კაპეიკამდე. მოქ. ჭუმბურიძე ვაჭრობის სახალხო კომისარიატს იმოწმებს. ჩვენ ხელთა გვაქვს ამ კომისარიატის ცნობები, რომლიდანაც სჩანს, რომ 1925 წელს თამბაქოზე საშუალო ფასი ყოფილა 26 მანეთი, 1926 წელს —24 მან. 50 კაპ. და 1927 წელს—26 მან.

კარგს ინებებდა მოქალაქე ჭუმბურიძე განგვიმარტავდეს იმავე „საქართველოს ეკონომისტში“, საიდან მიიღო მან ასეთი ციფრები? საერთოდ ჩვენ სურვილის გამოვთქვამთ, რომ მოქ. ჭუმბურიძე დაუბრუნდეს მის მიერ წამოყენებულ „ნედლეულის პრობლემას“ და უფრო გარკვეულად აუხსნას მკითხველს დასახელებული მეურნეობის მდგომარეობა.

სანამ მას ეს არ უნებებია, მისი მეტი რომ არა ვთქვათ, მეტის-მეტად ზერელე გამოკვლევა ერთობ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. თუ მოქ. ჭუმბურიძეს დავუჭერებთ მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიული ყოფილა, როგორც მისი წერილიდან სჩანს 1925 წელს მეთამბაქოვე გლეხი ფუთ თამბაქოზე ზარალობს 4 მ. 43 კაპ. 1927 წელს კი ზარალობს 6 მ. 22 კაპეიკს.

ეს იცით რას ნიშნავს? ეს უდიდესი უბედურებაა ჩვენი მეურნეობისათვის.

როგორც ვიცით აფხაზეთში დესეტინაზე ანგარიშობენ საშუალოდ 50—60 ფუთ თამბაქოს. საქართველოს სხვა ნაწილებში კი მაგალითად, ლაგოდეხში, 80 ფუთს, აჭარისტანში—75 ფუთს. რაკი ეს ვიცით, უბრალო არითმეტიკულ კომბინაციებით. ჩვენ მივიღებთ შემდეგ საშინელ სურათს:

1925 წელს მეთამბაქოვე გლეხს თვითეულ დესეტინაზე უზარალებია 287 მ. 95 კაპ. 1927 წელს კი ის ზარალობს დესეტინაზე 403 მ. 30 კაპ.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიულია. თუ მოქ. ჭუმბურიძეს დავუჯერებთ, ორში ერთი უნდა დავასკვნათ: ან ქართველი გლეხი ისე გაგიჟებულია, რომ ყოველ წლიურად დესეტინაზე ასეთ დიდ ზარალს იღებს და მაინც განაგრძობს ამ საზარალო, პირდაპირ დამღუპველ მეურნეობას, ანდა უნდა დავიჯეროთ, რომ მუშებისა და გლეხების სახელმწიფოში, იქ სადაც ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ გლეხები და მუშები არიან, გლეხებს პირდაპირ სძარცვავენ, ესე იგი ეს ხელისუფალი ხალხი სძარცვავს თავის საკუთარ თავს.

და ეს მით უფრო საკვირველია, რომ ასე სწერენ და მსჯელობენ „საქართველოს ეკონომისტის“ ფურცლებზე.

ჩვენ რომ უფლება გვქონდეს, მოვიქცეოდით ისე, როგორც იქცეოდენ ძველი ბერძნები, როცა თავის მხიარულ ღმერთს დიონისოს ახალგაზრდებს შესწირავდენ, ესე იგი პატარა ფლაგელაციას გავუკეთებდი ისეთ სტატისტიკოსებსა და ეკონომისტებს, რომლებიც თავის საკუთარ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ, რომლებსაც არ ეხერხებათ არა თუ მოვლენათა ანალიზი, ციფრების წაკითხვაც კი.

ყარიბი.

# პუანკარეს მთავრობის პოლიტიკის ანტისაბჭოთა კურსი

საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზია, მასიური მესაკუთრე რუსეთის ფასიანი ქაღალდების, დაინტერესებულია, რომ საბჭოთა კავშირთან შეიქმნეს ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას ჰქონდეს პერსპექტივა ფასიანი ქაღალდების განაღდების და საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოვების. თუ რემდენად დიდია წვრილბურჟუაზიულ მასებში ტენდენცია ამ მხრივ და პოპულიარული ამ ტენდენციაზე აშენებული საბჭოთა კავშირთან დაახლოვების ლოზუნგი, ნათლად გვიჩვენა წინა პარლამენტარულმა არჩევნებმა, სადაც მოულოდნელი გამარჯვება ხვდა წილად ამ ლოზუნგით გამოსულ „მემარცხენე ბლოკის“ პარტიებს.

„მემარცხენე ბლოკის“ მთავრობა, პირველ ხანებში, საბჭოთა ხელისუფლების იურიდიული ცნობით, თითქოს, მოწიდებულად, კიდეც შეუდგა თავისი საარჩევნო პროგრამის რეალიზაციას, ამრჩევლებზე მიცემულ დაპირების განხორციელებას, მაგრამ რეაქციონური წრეების პირველ შემოტევისათანავე, რასაც ძალიან შეუწყო ხელი ინგლისში კონსერვატორების გამარჯვებამ, იგი დაემორჩილა პარიზის ბირჟის კარნახს და ხელი აიღო პაციფისტური იდეოლოგიის პრაქტიკულ განხორციელებაზე.

პუანკარეს მთავრობის სათავეში მოქცევის შემდეგ, უკვე საგრძნობლად შეიცვალა „მემარცხენე ბლოკის“ ძველი კურსი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში. მართალია, ოფიციალურად არც პუანკარეს დაუგმია „ბრიანის ხაზი“ ამ საკითხში, რომ ამით თავის თავზე აეღო პასუხისმგებლობა ასე ფართოდ გაშლილ ანტისაბჭოთა კამპანიაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს მას, რომ ხელმძღვანელობა და მფარველობა გაუწიოს საფრანგეთის რეაქციონური წრეების აშკარა და მოურიდებელ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კიდევ მეტი: საჭირო მომენტებში, პუანკარეს მთავრობა ოფიციალურადაც ერევა ამ კამპანიებში არბიტრის პოზაში, რომ მომხდარი ამბების მიზეზად გამოაცხადოს საბჭოთა ხელისუფლება და გაამართლოს საფრანგეთის იმპერიალიზმი

ვინ არ იცის, რომ ყოვლად უსაფუძვლო და აშკარა შოვინისტური ინციდენტის ავტორები და ინიციატორები, რომელიც შექმნეს წარსული წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის რაკოვკის წინააღმდეგ, იყვენ საფრანგეთის მმართველი წრეები ინგლისის კონსერვატორებთან და დეტერდინგთან შეთანხმებით. ვინ არ იცის, რომ ამ ინციდენტით მათ უნდოდათ გამოეწვიათ საბჭოთა კავშირის საგარეო გართულება და ხელი შეეშალათ მის შინაურ აღმშენებლობითი მუშაობისათვის. ხოლო ეს მათ ვერ მოახერხეს. საბჭ. ხელისუფლების მტკიცე პოზიციამ და გულწრფელმა ცდამ მშვიდობიანობის დასაცავად სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებაში და საფრანგეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის ამხაურებამ, რასაც უკანასკნელად „მემარცხენე ბლოკიც“ გამოესარჩლა, შეუძლებელი გახადა ამ ინციდენტზე აშენებული პარიზის რეაქციონერების გეგმების განხორციელება

მაგრამ ამით, ამ ინცინდენტის მოგვარებით, რასაკვირველია, არ მომხდარა საფრანგეთის ანტისაბჭოთა კურსის შეცვლა და ანტისაბჭოთა კამპანიების საბოლოვო ლიკვიდაცია. საფრანგეთის რეაქციონერები არც ერთ მოხერხებულ შემთხვევას არ უშვებენ, რომ კვლავ განაახლონ იგი. პუანკარეს მთავრობაც ხელს უწყობს მათ, რომ ყოველთვის ექნეს ამის საბაბი და ამიტომაა, რომ ასე გაურბის წარსულ წელს დაწყებული საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციის მუშაობის დასრულებას, სადავო საკითხების გადაწყვეტას და ნორმალური ურთიერთობის დამყარებას

რაკოვსკის ინცინდენტის მოგვარების შემდეგ, უკვე ნახევარ წელზე მეტმა დრომ განვლო, საბჭოთა კავშირის ახალმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. დოვგალევსკიმ არა ერთხელ გაახსენა ინციდენტით შეწყვეტი რაკოვსკის გარშემო შექმნილი ინცინდენტით შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლება, მარგამ მას დღემდე არ გაუცია გარკვეული პასუხი ამ წინადადებაზე, ხოლო რეაქციონური პრესა ისევ განაგრძობს, სისტემატიურად, საბჭოთა კავშირის შესახებ ახალ-ახალი სენსაციური ცნობების გავრცელებას და მასთან კონფლიქტის გამოწვევას.

საფრანგეთის ბანკის გამოსვლა საბჭოთა ოქროს შესახებ, ეს არის მხოლოდ მორიგი პერიოდული კონფლიქტი მიღებული იმ ანტისაბჭოთა კამპანიის შედეგად, რასაც ქმნის და ასაზრდოვებს საფრანგეთის მთავრობის ანტისაბჭოთა კურსი.

საფრანგეთის რეაქციის ეს მორიგი გამოსვლაც უკვე მარცხით თავდება. შერთებული შტატების მმართველი წრეები მალე დარწმუნდენ, რომ საფრანგეთის ბანკის და-ფრანსეს მიერ წარმოდგენილი ყოვლად დაუსაბუთებული პრეტენზიების დაკმაყოფილება მისი დახმარებით და მონაწილეობით, გამოიწვევდა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო დამოკიდებულების ჩაშლას. ეს კი მათთვის არ არის ხელსაყრელი, რადგან მისი სავაჭრო ბალანსი საბჭოთა კავშირთან საკმაოდ აქტიურია და თანდათანობით იზრდება. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის და ეკონომიური განვითარების პროგრამა კიდევ უფრო დიდ პერსპექტივებს შლის შეერთ. შტატების წინაშე მათი ექსპლოატაციის გადიდების მხრივ მომავლისათვის, რისთვისაც შტატების ფინანსიურ წრეებს არ შეეძლოთ, რომ არ გაეფრთხილებიათ მთავრობა ამ საზარლო ნაბიჯის გადადგმისაგან.

შტატების მთავრობაში ამ საკითხის გარშემო თავიდანვე, შეიქმნა წინააღმდეგობა. პრეზიდენტი კულიჯი და საგარეო საქმეთა მინისტრი კელოგი არ უარყოფდენ, რომ ისინი თანახმა იყვენ ოქროს მიღების და არ ეწინააღმდეგებოდენ მის სასინჯ პალატაში გადაგზავნას. ფინანსთა მინისტრი მელონი კი 1920 წ. გამოცემული კანო-

ნის მიხედვით განკარგულებას იძლევოდა, რომ შეჩერებიათ საბჭოთა ოქროს ფედერალურ სარეზერვო ბანკზე გადაცემა.

საბჭოთა ოქროს გარშემო შექმნილ კონფლიქტის გარეშე არც გერმანია დარჩა რადგან ამ ოქროს გადაგზავნა ნიუ-იორკში მოხდა გერმანიის ბანკების საშუალებით, რისთვისაც იგი მოითხოვდა, საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის პირობებში, ოქროს უკანვე დაბრუნებას გერმანიაში.

ინცინდენტი თანდათანობით ფართო ხასიათს ღებულობდა. საფრანგეთის კერძო ბანკის პრეტენზიას საფრანგეთის მთავრობამაც დაუჭირა მხარი და თავისი ელჩის საშუალებით ვაშინგტონში ოფიციალური ნოტაც გადასცა შეერთ. შტ. მთავრობას საბჭოთა ოქროზე ყადაღის დადების შესახებ სარჩელის სასამართლოში გარჩევამდე.

საფრანგეთის მთავრობის აქტიურმა ჩარევამ კიდევ უფრო დაარწმუნა შეერთ. შტ., რომ ინცინდენტის მიზანი იყო არა მარტო 10 მილ. მანეთის საბჭ. ოქროს ზოდების ხელში ჩაგდება, არამედ ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის ჩაშლა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი შეიქმნა ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელობით დაწყებული საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბლოკადის განხორციელება.

შეერთ. შტატებისათვის, რომელსაც ასე სჭირია ამჟამად საბჭოთა კავშირის ბაზარი, მასთან ვაჭრობის გაფართოვება, რა თქმა უნდა, არაა მისაღები საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბლოკადის კონცერტში შესვლა. მისი საგარეო ვაჭრობის პასიური ბალანსი, რამაც საგრძნობლად შეამცირა შეერთ. შტ. ოქროს მარაგი, პირდაპირ უკარნახებს შეერთ. შტატ. მმართველ წრეებს, რომ ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განვითარებას. შტატების ფინანსიურმა წრეებმა და ბურჟუაზიულმა პრესამ ინციდენტთან დაკავშირებით არ დააყოვნა მთავრობის წინაშე იმ პრობლემის წამოყენება თუ რამდენად რეალურია მთავრობის განცხადება, რომ საბჭოთა კავშირის იურიდიულად არ ცნობა არ შეუშლის ხელს სავაჭრო დამოკიდებულებასო.

ასეთი ატმოსფერის შექმნის შემდეგ, საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ დე-ფრანსეს სახით დიდი ანგარიშით წამოყენებულ პრეტენზიების დაკმაყოფილებას აღარავითარი შანსები აღარ ჰქონდა. შეერთ. შტ. მთავრობისათვის საზარალო იყო კიდევ დაცდა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საფრანგეთის მოთხოვნილება ოქროს ზოდებზე ყადაღის დადების შესახებ უარყოფილ იქნას და ოქრო უკანვე გადაიგზავნოს გერმანიაში.

საფრანგეთის მმართველი წრეები, შეერთ. შტატების მთავრობის ასეთი გადაწყვიტილებით, რასაკვირველია, ძალიან უკმაყოფილო დარჩენ. საფრანგეთის ბანკმა დიპლომატიური ჟესტი გააკეთა მთავრობის ავტორიტეტის გადასარჩენად და პროტესტი განაცხადა მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. იგი სამოქალაქო წესით პასუხისგებაში მიცემით დაემუქრა ამერიკის ბანკებს იმ ზარალისათვის, რომელსაც ნახავს ოქროს გერმანიაში დაბრუნებით.

საფრანგეთის ბანკის მუქარას და პროტესტს არც ისეთი ფასი აქვს შეერთ. შტატებისათვის, რომ ასე დიდი ანგარიში გაუწიონ მას, საფრანგეთის პოლიტიკის ობიექტად გახადოს თავის თავი და დე-ფრანსის კარნახით ჩაშალოს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო დამოკიდებულება, შესცვალოს თავისი საგარეო პოლიტიკა.

ამიტომაც მისი პროტესტისა და მუშაობისათვის არავის მიუქცევია ყურადღება.

ამის შემდეგ საფრანგეთის რეაქციონერებს აღარაფერი რჩებათ იმის მეტი, რომ ახალი ჭორები გაავრცელონ გერმანიაში დაბრუნებული ოქროს საბჭოთა გემებზე გადატვირთვისა და გატაცების შესახებ, რომ ის, რასაც თვითონვე ფიქრობენ და ვერ ანხორციელებენ სხვას მიაწერონ.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნილ მორიგი ინცინდენტის ასე სკანდალური დამარცხებით გაბოროტებული საფრანგეთის რეაქციონური პრესა ისევ ახლად იწყებს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ძველი გაცვეთილი პოლიტიკური დემაგოგიით გამოსვლას, საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელად საბჭოთა მთავრობის გამოცხადებას, კომინტერნის ანტიკონსტიტუციონალური პროპაგანდის გაფართოვებას ყველა ქვეყნებში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამღვთო ომის დაუყოვნებლივ გამოცხადების საჭიროებას.

საბჭოთა ოქროს გარშემო შექმნილმა ინცინდენტმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა ყველა, რომ საფრანგეთის რეაქციონერების მოქმედება შეთანხმებულია საფრანგეთის მთავრობის არაოფიციალურ ანტისაბჭოთა კურსთან, რომ ანტისაბჭოთა კამპანიებს ხელმძღვანელობენ და მფარველობენ საფრანგეთის ოფიციალური წრეები. ეხლა კიდევ უფრო გარკვეულია თუ რატომ ვერ ახერხებს საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო პირდაპირი პასუხის გაცემას დოვგალევსკის მიერ გადაცემულ ნოტებზე, თუ ვინ არის დამნაშავე მოლაპარაკების ასე ხანგრძლივი დროით შეწყვეტაში, თუ რატომ გაურბის საფრანგეთის მთავრობა კონტაქტის აღდგენას საბჭოთა საელჩოსთან პარიზში, თუ რატომ ვერ ხერხდება წარსულ წელს შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლება საფრანგეთ-საბჭოთა შორის სადავო საკითხების მოსაგვარებლად და კეთილმეზობლური დამოკიდებულების შესაქმნელად.

კ. ჭეიშვილი.

# მომავალი საზოგადოების ახალი ქალი

## II.

### ერთი ჭიქა წყალი, ანუ თავისუფალი სიყვარული, ჩუჩაჩოკები, მათი თეორეტიული სიბრძნე და პრაქტიკული სიდუხჭირე

ალტშულერი „აქსიონ დირექტის“ კაცია, მას არ უყვარს მიკიბულ - მოკიბული გზები, ხვეულები და ცერემონიები. ის მიზნისაკენ პირდაპირ მიდის.

სქესობრივ ურთიერთობაში მას სწამს და კიდევაც ახორციელებს მამაკაცის დიქტატურას. მისი სტრატეგია უბრალოა: სისწრაფე და იერიში! მაგრამ რამდენად იგი მარტივია, იმდენადვე ყოვლად შეუძლებელია ხეირიანი ადამიანისა და სოციალისტისათვის მისი დაცვა და გამართლება. სისაძაგლე აქ აშკარაა, მისი დაცვა წინასწარ წაგებულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ უმრავლესობა აყენებს ახალ თეორიას. თუ ალტშულერები გვეუბნებიან: ძალდატანება და იერიშებიო, ახალი თეორია აცხადებს: არავითარი ძალდატანება სქესობრივ ურთიერთობაში, სრული თავისუფლებაო. ეს თეორია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ალტშულერების თეორიულ და პრაქტიკულ სისაძაგლეს. ეს ერთად - ერთი მისაღები ფორმულაა სოციალისტისათვის, მაგრამ კომენტარიებში ეს ფორმულა „ერთი ჭიქა წყლის“ თეორიის სახეს ღებულობს — აქ კი ბრძოლა აუცილებელი და სავალდებულოა. უეჭველია ამ ბრძოლაში არის დიდი სიძნელე და უხერხულობა: მართლაც და როგორ უნდა იყოს სოციალისტი იმის წინააღმდეგი, რომ სქესობრივ ურთიერთობაში იყო ისევე თავისუფალი, როგორც ჭიქა წყლის დალევაში?

აქ არის მეორე ფსიქოლოგიური დაბრკოლებაც: მშვენიერი შიშველი სხეული, კოცნა და ხვევნა ახალ-

გაზრდობას მოსწონს, ბებრებიც ალბათ გულდაწყვეტილი ფიქრობენ: რატომ ჩვენს დროს ასე არ იყოვო!

ყოველივე ეს ქმნის თავისებურ ატმოსფეროს, რომელიც, უეჭველია, ხელს უშლის ამ ფრიად სერიოზული პრობლემის ობიექტიურ გაშუქებას.

უნდა ითქვას, რომ თეორია „ერთი ჭიქა წყლის“ შესახებ არსებითად იგივეა, რაც ალტშულერების თეორია, ამასთანავე თუ უკანასკნელი ძველია, არც პირველია ახალი.

სქესობრივი თავაშვებულება და ზედმეტი ეროტიზმი ხშირად თან სდევდა დამარცხებასა და დეკადანსს. სრულებით შემთხვევითი არ ყოფილა ის გარემოება, რომ არციბაშევები და მათი სანინები ჩვენ მოგვევლინენ პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. დაღლილი, დაქანცული და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი წრეები **ხშირად სქესობრივ** სილაღეში და თავაშვებულებაში ხედავდენ ნუგეშს, სულიერ სიმშვიდესა და დავიწყებას. ასე იყო ეს ისტორიულად, მაგრამ როცა **გამარჯვების შემდეგ** ამ თეორიის იმეორებს და ცხოვრებაში ატარებს ზოგიერთი სოციალისტურად და კომუნისტურად მოაზროვნე — ეს კი **უდიდესი ისტორიული გაუგებრობაა.**

ამ გაუგებრობის შედეგები უკვე იგემეს ჩვენმა ცოლებმა, რომლებსაც ბევრმა ჩვენთაგანმა რევოლიუცია მეხად დაატეხა თავზე!

ის, ვინც ჩვენ გვერდში გვედგა ბრძოლაში ათეული წლების განმავლობაში, ვინც ჩვენთან იყო ჭირსა და ლხინში—დღეს არ მოგვწონს, ოჯახური დეკორაციების გამოცვლა, შეუღლება და გაყრა—მართლა ერთი ჭიქა წყლად გადაიქცა.

საიდანაა ასეთი სიო?

მწერალმა მალაშკინმა მოთხრობაში „Луна с правой стороны“ მოგვცა ამ ახალი ფილოსოფიის ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენელი—ეს არის ისაიკა ჩუჟაჩოკი.

მისი ფილოსოფია მარტივია; მამაკაცსაც აქვს მოთხოვნილება, დედაკაცსაც, ე. ი. შენც გინდა, მეც მინდა, ორივე ვიტანჯებით, მაგრამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ ვბედავთ. სიცოცხლით ალსავსე და მოქმედი ადამიანი მალე ჰქნება. მას იპყრობს აპატია, ის ჩლუნგდება და ყოველმხრით უკან მიდის. რაშია საქმე? სად არის ამის მიზეზი? მთელი უბედურება იდეალისტურ ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობასა და ტრადიციებშია. ჩვენ აღვიზარდეთ ბურჟუაზიულ კულტურაზე. მტკიცედ შევითვისეთ იგი და არ გვინდა მას გავშორდეთ. ძველ სიყვარულს საფუძვლად ედვა კერძო საკუთრების პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად ქალი იყო მამაკაცის საკუთრება, ხოლო მესაკუთრე ფიქრობდა, რომ მისი საკუთრება მას უნდა ეკუთვნოდეს სიკვდილამდი. აი აქედან წარმოიშვა „სიყვარული სიკვდილამდე“ „სიყვარული კუბოს ფიცრამდე“, „მთლიანად შენი“, „მარად შენი“, „ჩემო ერთად-ერთო“ და სხვა ასეთი საალერსო სიტყვები. რატომ ურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას ქალი? იმიტომ, რომ ის ეკონომიურად მამაკაცისაგან იყო დამოკიდებული.

ამნაირად ძველი სიყვარული არის ერთი სქესის წარმომადგენლის ძალდატანება მეორე სქესის წარმომადგენელზე გამოწვეული ეკონომიური დამოკიდებულებით.

სიყვარული ლამაზი და თავისუფალი, როცა გაქვს სრული შეგნება ამ კავშირის არსებობისა მანამდე, ვიდრე არის აუცილებლობა ერთმანეთში— აი ასეთ სიყვარულში არ არის ძალდატანების ერთი წვეთიც.

აკი მარქსიზმი ამბობს, თავისუფლება არის აუცილებლობის შეგნებაო. აქ ადამიანები ერთმანეთს ავსებენ, ამ შეხამებიდან მიიღება ხოლმე სრული ადამიანი. როგორც კი ეს ჰარმონია დაირღვა, როგორც კი გამოჩნდა დისონანსის შემტანი ჰანგები—ეს კავშირი უნდა გაწყდეს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ის გადაიქცევა ძალდატანებად ერთი სქესისა, მეორის წინააღმდეგ.

უნდა გვეშინოდეს თუ არა ჩვენ ასეთი კავშირის დარღვევის? არა და არა!

ეს დარღვევა აუცილებელია, ვინაიდან ცხოვრება იცვლება, იცვლება პირობები, ჩვენ ვიცვლით მუშაობას, პროფესიას, ჩვენ დღეს ერთს დარგში ვმუშაობთ, ხვალ მეორეში, დღეს ერთი მოღვაწეობა გვიტაცებს, ხვალ მეორე.

როცა ჩვენ სხვა, ახალ პირობებში გვხვდება ქალი, რომელიც არის ჩვენი ამხანაგი საქმეში, ამხანაგი თავისი შეხედულებით, იბადება საერთო ინტერესი, ინასკვება ახალი კავშირი, ახალი ძაფი, ხოლო ძველი კავშირი ირღვევა, ინგრევა, ვინაიდან ახალს პირობებში ქალი და მამაკაცი ერთმანეთს უფრო ავსებენ.

უნდა უარვყოთ ძველი უძრაობა, სიყვარულის ძველი ფორმები, რომლებიც ხელს უშლის ჭეშმარიტი სიყვარულის გამომჟღავნებას.

ქალებო! თქვენ უნდა იყოთ პირველი მომხრე და გამტარებელი ახალი თავისუფალი სიყვარულის, ვინაიდან თქვენ არაფერს დაკარგავთ გარდა ბორკილებისაო“...

ასეთია ჩუჟაჩკების სიბრძნე, ხოლო როგორია მათი აღთქმა პრაქტიკაში?

მოუსმინოთ იმავე მოთხრობის გმირ ქალს ტატიანა არისტარხოვას:

„იმ დროს მე ბევრი მეარშიყებოდა და როცა მე მათ თანხმობით არ ვუპასუხებდი, მე საჯაროდ მეშჩანკას მეძახდენ. შემდეგ მე დამიახლოვდა კომკავშირის ერთი თვალსაჩინო მუშაკი, გამიკეთა წინადადება—თქვენ არ იფიქროთ, რომ მე ის მიყვარდა—ჩვენ დავიწყეთ ერთად ცხოვრება, მაგრამ სისაძაგლისა და რამდენიმე აბორტის მეტი მე არაფერი კარგი და მშვენიერი ჩვენი საერთო ცხოვრებიდან არ მახსოვს. შემდეგ მან მიმატოვა. მეც დამშვიდებულად გავშორდი მას. ამის შემდეგ მე ვცხოვრობდი მეორესთან, აქაც უსიყვარულოდ, ის მე თვითონ მივატოვე. თანდათან ჩემთვის შეუმჩნევლად ოცდა ორ ქმარამდე მივაღწიე, ოცდა მეორესაც გავშორდი, ახლა, ვცხოვრობ ამ საზოგადოებაში,, ვაწყობ ათინის საღამოებს, ვსვამ ღვინოს, ვეწევი პაპიროსს და გარყვნილი ქალის სახელი გავითქვი“-ო.

აი თეორია, აი პრაქტიკა!

ჩუჟაჩოკის ფილოსოფია ნათლად ამტკიცებს, რომ იგი ღვიძლი ძმაა ალტშულერების, რომ მათ შორის, როგორც ვსთქვით, არავითარი არსებითი განსხვავება არ არის. ალტშულერების სისაძაგლის დედა აზრი არის ქალის პიროვნების უარყოფა, იგივე არის ჩუჟაჩოკის ფილოსოფიაშიც. ძველი მამაკაცი ქალს საკუთრებათ სთვლიდაო, ამბობს იგი, მარა ავიწყდება, რომ მისი სიბრძნე ამაზე უარესია. მესაკუთრე ასე თუ ისე ზრუნავდა თავის საკუთრებაზე, დაახლოვებით ისე, როგორც გლეხი ზრუნავს თავის ძროხაზე, ხარზე და სხვა, ხოლო ჩუჟაჩოკის სიბრძნიდან ესეც არ გამოდის!

სიყვარული — ქალი — ეს ჭიქა წყალია: მოგწყურდება — დალიე და გზას გაუდექი! მორჩა და გათავდა. არავითარი მოვალეობა, არავითარი პასუხისმგებლობა!

უსულო საგნის—ჭიქის როლში ქალი ჩააყენო—განა შეიძლება ამაზე მეტი შეურაცყოფა ქალისათვის?!

**ლეო შენგელაია.**

# ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის

**V.**

**სამთომადნო მრეწველობას** რომ საქართველოში დიდი მომავალი აქვს, ეს დიდი ხანია ცნობილია. მრეწველობის ეს დარგი თავმოყრილია უმთავრესად საქართველოს სამთომადნო მრეწველობის ტრესტის ხელში. უკვე მუშავდება: ქვანახშირი ტყიბულში, რომელიც წინეთ მოვიხსენიეთ, ბარიტი, გლაუბერის მარილი, სალიტოგრაფიო ქვა, ცეცხლ-მძლე თიხა, ფლორიდინი, დიატომიტი და მინერალური სალებავები. ბევრს ამათგან სრულიად უზრუნველყოფილი ბაზარი აქვთ,, როგორც კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მათი ფართო განვითარება ხელს უშლის საჭირო თანხების უქონლობა და ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი მათგანის შედარებით პრიმიტიული დამუშავების წესი. ხუთწლიანმა გეგმამ ამ წარმოებათ საბოლოოდ უნდა ჩამოაცილოს ეს დაბრკოლებანი.

ამავე ხუთწლედმა უნდა გამოარკვიოს აგრეთვე ჩვენი სალითონო მრეწველობის მომავალი და მისი შესაძლებლობანი. ამ მხრით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს რკინის ბუდობები ჩათახის რაიონში და შავი ზღვის ნაპირების რკინა ნარევი ქვიშა. ჩათახში უკვე დაწყებულმა კვლევა - ძიებამ უნდა იწარმოოს ფართო მასშტაბით და საბოლოვოდ უნდა გამოარკვიოს არის თუ არა იქ იმდენი მადნეული, რომ მაზედ ვაშენოთ ჩვენი მეტალურგიული მრეწველობის მომავალი პერსპექტივები, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნება რკინანარევ ქვიშის და მისი ექსპლოატაციის ხელსაყრელობის საკითხის გამოკვლევაც.

ამ ორ რაიონში დაგროვილი მიწის გულის სიმდიდრე სრულიად საკმარისი იქნება ჩვენში ლითონსნობის საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის, თუ წინასწარი იმედები გაგვიმართლდა.

გარდა ამისა უნდა ვაწარმოოთ კვლევა-ძიება სხვა ლითონებისაც, როგორც მაგალითად, სპილენძისა (კახეთში) ტყვიისა და ცინკისა (სამხრ. ოსეთში, სამეგრელოში და სვანეთში) რკინის (ზემო იმერეთში) და სხვ. ყველა ამ ადგილების გამოკვლევა და იქ დაგროვილ სიმდიდრეთა შესწავლა აუცილებელია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. ამ კვლევა-ძიების დადებით შედეგებს შეუძლიათ საგრძნობლად შესცვალონ ან შეასწორონ ჩვენი მრეწველობის განვითარების ხაზი, რომელიც დღეს უმთავრესად ამუშავებს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებს.

აქვე მოვიხსენიებთ ჩვენ რესპუბლიკაში არსებულ **სალითონო მრეწველობას,** რომელიც დღეს კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ ნედლეულით მუშაობს და თავის უმთავრესი ნაწარმოებით საქართველოს ლითონტრესტში შედის.

ამჟამად მისი არსებობა და განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია უმთავრესად მთელი ამიერკავკასიის მოთხოვნილება - საჭიროებაზე, მთელი ამ რაიონის აშენებლობისათვის საჭირო ლითონის სხვადასხვა ნაწილებისა და ცალკე საგნების დამზადება და ამ საქმეს ასრულებს ჩვენი ტრესტი. იმავე ტრესტის ქარხნებში ასრულებენ ჩამოსხმის საქმეს (თუჯისა და სპილენძის) და სხვადასხვა მექანიკურ სამუშაოებს. ამ ხაზით მრეწველობის ამ დარგს შედარებით შეზღუდული პერსპექტივები აქვს, თუმცა მისი პროდუქცია 4—5 მილიონს უდრის. მთავარი სამუშაოები ტრესტს ეძლევა ჩვენი ჰიდრო - ელექტრო სადგურებიდან, რკინის გზიდან და სხვა ტრესტებიდან. კვალიფიციური მუშა - ხელით ტრესტი შედარებით უზრუნველყოფილია და თუ ჩვენში მეტალურგიამ მოიკიდა ფეხი, მას დიდი პერსპექტივები გადაეშლება წინ.

ყოველ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ზევით აღნიშნულ ფარგლებში ტრესტს ნიადაგი მუდამ ექნება და ამ ხუთი წლის განმავლობაში სავსებით უნდა გადახალისდეს მისი ქარხნები, რომელთა მოწყობილობა (მანქანები) მეტად დაძველებულია, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. ხუთწლიანმა გეგმამ უნდა განახორციელოს ამ ქარხნების ცენტრალიზაცია, რომლისთვისაც საჭირო იქნება 4—5 მილიონი. ეს საქმე გადაუდებელია და ხუთწლედის პირველ წლებში უნდა გატარდეს. დანარჩენზე შემდეგ წერილში.

**ნ. ელიავა.**

# რა ვნახე საბჭოთა კავშირში

**(გერმანელი ქალის შთაბეჭდილებანი)**

**II.**

არამც თუ უცხოეთში, არამედ აქ, საბჭოთა კავშირშიც დარიგებას მაძლევდენ, რომ ნივთები უყურადღებოთ არ დამეტოვებია. კიდევ პოლონეთში, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ქალ. ბარანოვიჩში, ერთი მგზავრი მოგვემატა, რომელიც ეროვნებით ებრაელი იყო და როგორც რუსულად, ისე გერმანულად და ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა.

— ქ-ნო, მომმართა მან ოდნავ ებრაული გამოთქმით კელტურ დიალექტზე ინგლისური, — როდესაც სტოლბცეს გასცილდეთ, პოლონეთის სასაზღვრო სადგურია, სადაც საბაჟოს რევიზია ხდება,—გირჩევთ შეუდგეთ ჯიბეების კერვას, მიიკეროთ ტანზე ყოველგვარი ნივთი თორემ საზღვარს იქით ისეთ ქურდებს შეხვდებით, რომ თვალში ბეწვს ამოგართმევენ“-ო.

ეს თანამგზავრი მალე დაგვცილდა. ჩემთან ერთად მოსკოვში ერთი ელზასელი ოჯახი მოემგზავრებოდა, იმანაც ასეთივე დარიგებები მომცა, თუმცა ოდნავ შენელებული, ვიდრე პოლონელმა ებრაელმა.

მეტის - მეტად ძნელია მოგზაურობა ისეთ ქვეყანაში, რომლის ენა არ იცი.—სადაც იშვიათად შეგხვდება მცოდნე უცხო ენისა. მოსკოვამდე მოგზაურობის დროს თანამგზავრთა შორის ბევრი იყო გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენის მცოდნენი. ოდნავათაც არ მიგრძვნია უხერხულობა. პირიქით, არხეინად ვიყავი. მოსკოვის შემდეგ კი მდგომარეობა უფრო გართულდა; ენის მაგიერობა მიმიკამ აილო თავის თავზე. გაჭირვების დროზე ადამიანს ყველაფერი გამოადგება. პირველად ყოვლისა, ჩემი ყურადღება მიიპყრო განსაცვიფრებელმა თავაზიანობამ. ევროპიელი ასეთ რამეს ჩვეული არ არის. როგორც სხვა დროს, ისე მოგზაურობის დროსაც ის მხოლოდ თავისი თავით არის დატვირთული. სხვის ავკარგს ნაკლებად აქცევს ყურადღებას. აქ კი, გზა და გზა მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი ყველა ცდილობდა ერთიმეორესათვის პატივი ეცა, ყურადღება გამოეჩინა. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში მე ვიყავი. ეს უთუოდ — უცხოელობით აიხსნებოდა.

ზაფხულის პაპანაქება სიცხე უნებლიეთ იწვევდა ტანისამოსის თანდათანობით შემცირებას. დონის როსტოვს უახლოვდებოდი, როდესაც გათენებისას აღმოვაჩინე. რომ თავსტუმალს დაკიდებული „ჟაკეტი“ აღარ იყო.

გამართლდა პოლონიელი ებრაელი, და აგრეთვე ყველა ისინი, ვინც დარიგებას მაძლევდა. მაგრამ ეს მოხდა ჩემი დაუდევრობით. მათმა გადაჭარბებულმა რჩევა-დარიგებამ ჩემში დიდი იჭვი და შიში შექმნა. ხუთი დღის განმავლობაში არც ისე იწვიმა, როგორც ქუხდა და ჩემშიც უნებლიეთ რეაქცია შეიქმნა შიშისა და იჭვიანობის წინააღმდეგ. ნივთებს ზედმეტი თავისუფლება მივეცი. „პაცანებმა“ უთუოდ შენიშნა ეს დაუდევრობა. რომელიმე სადგურზე აგრედან ღია ფანჯრის საშუალებით ღამის სიოზე მოფრიალე „ჟაკეტი“ გადაიტანა. განა გასაკვირელია? ფიქრობდა, რომ პატრონი ხეირიანად ვერ უვლიდა. მის ხელში უკეთ შეინახებოდა! ეს პირველი სალამი იყო, რომელიც საბედნიეროთ დღემდე აღარ განმეორებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბინოკლს, რომელიც „საბაყოს ვიროთხამ“ მომტაცა.

დონის როსტოვამდე ერთი მანდილოსანი მოდიოდა, ახალგაზრდა ქალიშვილით. პატარა მეტად დაინტერესდა ჩემით. უთუოდ უკვირდა, რომ ენას ვერ ვლაპარაკობდი. გვერდში მომიჯდებოდა ხოლმე, და მეალერსებოდა. როდესაც მას ოქროს პატარა ქინძისთავით ფართოთ გაღებული ხალათის საკინძავი დაუმაგრე, მის სიხარულს დასასრული არ ქონდა. დედაც გაკვირვებული იყო ასეთი საჩუქრით. რასაკვირველია ენას ვერ ვაგებინებდით ერთმანეთს, მაგრამ მთელი ჩვენი არსება ინტუიტურად მუსაიფობდა. გამოვარკვიე, რომ ორივე თანამგზავრი თურქმენები იყვნენ. გამომშვიდობებისას ერთი ბოთოლი რაღაც სითხით სავსე გადმომცეს. შევნიშნე, რომ სამაგიერო იყო და მიუხედავათ იმისა, რომ წარმოდგენა არ მქონდა, თუ რით ვიყავი დასაჩუქრებული, დიდი მადლობა გადაუხადე. ბოთლი ქაღალდში იყო გახვეული და ზედ წარწერილი ორიოდ სიტყვა რუსულათ. თბილისში გამოირკვა, რომ საჩუქრათ შარბათი მივიღე, ხოლო წარწერა კი მისამართის იძლეოდა და წერილს მთხოვდა. აქედან უკვე მიწერ-მოწერა გავმართეთ და მე ვფიქრობ, რომ მიმდინარე ზაფხულში ჩემი პატარა თურქის ქალი, აგრე შემთხვევით დამეგობრებული, მისტუმრება. ეს შემთხვევა თავისთავად არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, მაგრამ დამახასიათებელი მოვლენაა და ამიტომ შევჩერდი. როდესაც მატარებელი სადგ. მინერალურ წყლებზე გაჩერდა, ძლიერი მოთხოვნილება მქონდა, რომ იქაურ კურორტებზე წავსულიყავი. ამ სურვილს სისრულეშიც მოვიყვანდი, რომ დონის როსტოვიდან მომავალ ერთ მოქალაქეს არ შევეშინებინე. ის მარწმუნებდა, რომ ეხლა კურორტებზე მხოლოდ დაავადებული ხალხია და საკმარისია ვინმე ჯანმრთელი გამოჩნდეს, რომ ისიც დაავადდებაო. ვამჯობინე ისევ თბილისისაკენ გამეგრძელებია გზა. ბაქო სხვადასხვა აღწერილობით ჩემთვის ცნობილი ქალაქი იყო. კიდევ გენუის კონფერენციის დროს ევროპის პერიოდული ლიტერატურა დიდხანს ლაპარაკობდა იქაურ ნავთის სიმდიდრეზე. აგრეთვე იმ სამეურნეო უსისტემობაზე, რაც თითქოს გამეფებული იყო ბაქოს სანავთო წარმოებაში. ამას შემდეგ ჟურნალი „პეტროლეუმ“-ი სპეციალურ ნომრებს იძლეოდა. ვისაც საშუალება ქონდა ის ენახა წინანდელი შთაბეჭდილება გაუქარწყლდებოდა მაგრამ „პეტროლეუმი“-ს გაცნობა რჩეულთა და დაინტერესებულ პირთა საქმეა!

მახაჩკალაში ერთ თანამემამულეს შევხვდი, რომელსაც ოჯახობა აბასტუმანში მიყავდა. 3 ნახ. დღის სიმუნჯის შემდეგ ენა ავიბი. როდესაც ბაქოს უახლოვდებოდით ლაპარაკის თემა უნებლიეთ ნავთზე და ნავთის ინდუსტრიაზე შეიცვალა.

ძლიერ გამიკვირდა, როცა თანამგზავრმა გამაცნო „ბაკინსკი რაბოჩი“-ში გამოქვეყნებული ცნობები გასული 26 — 27 სამეურნეო წლის 8 თვის ნავთის ექსპორტისა. ციფრები უკვე ასტრონომიულ რაოდენობას გვიჩვენებდა, რაც საგრძნობლათ წინ იყო ომის წინა დროის ბევრ საუკეთესო წლებთან შედარებით.

მე მხოლოდ გზათ ჩამოვიარე და საშუალება არ მქონებია თვით წარმოების დათვალიერებისა. ეს კიდეც რომ მომხდარიყო, ვეჭვობ, რომ რაიმე გადამწყვეტ დასკვნამდე მივსულიყავი. მიზეზი ამისა ის არის, რომ ნავთის წარმოებას პრაქტიკაზე არ ვიცნობ და მით უმეტეს ბაქოს ნავთის, მის წარსულს. ამიტომაც იყო, რომ თანამემამულის ცნობამ მე სრულებით დამაკმაყოფილა. ყოველ მიზეზს გარეშე „ბაკინსკი რაბოჩი“-ს მაშინდელი მაჩვენებლები საქმის ყაირათიანობის დამამტკიცებელი იყო.

ჩემთვის აშკარა და ნათელი გახდა ერთი პუბლიცისტისა და მკვლევარის აზრი, რომელიც გამოთქმულ იქნა ჟურნალ „მეოპოლიტიკ“-ში. იქ ნათქვამი იყო დაახლოვებით შემდეგი: „რა რომ ბაქოს სანავთო ინდუსტრია გამაგრდება, და ეს დრო არც ისე შორს არის, ნავთის საერთაშორისო ბაზარზე ის აუცილებლათ უძლიერეს მეტოქეთ გამოვა, რაც ბევრ შეხლა - შემოხლას გამოიწვევსო“. განა აქ ნაწინასწარმეტყველები არ არის „დეტერდინგ-სტანდარტ ოილის“ ბრძოლა?

ლი—ლი.

# რას ამბობენ ფაქტები

## პასუხი კ. კანდელაკს

### V.

### 4) მრეწველობის და შრომის საკითხები

„მუშათა კლასის უსაშინელესი მტერი არის უმუშევრობა, ამიტომ ყოველგან, სადაც მშრომელთა წარმომადგენელნი გავლენას კი პოულობენ, ხელისუფლებაზე, მათი თავი და თავი ზრუნვის საგანს შეადგენს ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ. სოციალისტების ფიქრობენ, რომ უმუშევრობა თანამედროვე კაპიტალიზმის, ანარქიული წარმოების თანდაყოლილი სენია და მხოლოდ სრული პოლიტიკური და ეკონომიური მუშათა კლასის — სოციალიზმი ბოლოს მოუღებს ამ სოციალურ უბედურებას“-ო სწერს კ. კანდელაკი.

მართალია ის, რომ უმუშევრობა კაპიტალიზმის თანდაყოლილი სენია, რომ უმუშევრობას მხოლოდ სოციალიზმი მოუღებს ბოლოს. მართალია ისიც, რომ ჩვენში უმუშევართა რიცხვი თითქოს მატულობს კიდეც აბსოლიუტურათ. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საბჭოთა რეჟიმი არ განსხვავდებოდეს კაპიტალისტურ წესწყობილებისაგან, როგორც ამას აცხადებს კ. კანდელაკი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრების წყარო უმთავრესად სამრეწველო კრიზისებია. საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ანარქიულ წარმოებას ადგილი არ აქვს და, რომელიც გეგმიან მუშაობაზე არის დაყრდნობილი, რასაკვირველია, სამრეწველო კრიზისებს ადგილი არ აქვს და მაშასადამე არ აქვს ადგილი უმუშევრობის ამ მთავარ წყაროს. ჩვენში უმუშევრობის მთავარი წყარო სოფელია, გლეხობის მიწა-წყლის ნაკლებობა.

ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს გამოვარკვიოთ, თუ რა კეთდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ სოციალური უბედურების საწინააღმდეგოთ. „რა უშველის ჩვენი მოსახლეობის გასაჭირს“-ო. კითხულობს კ. კანდელაკი და თან მოყავს პასუხათ საგეგმო კომისიის გა-

მოცემიდან შემდეგი ადგილი: „საქართველოს მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ხაზათ უნდა ჩათვლილ იქნას ადგილობრივი სამრეწველო ძალების განვითარება, რომ მასში ჩააბას ზედმეტი მოსახლეობა, ხოლო მეორეს მხრით თვით სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია“.—„სამართლიანი შენიშვნაა“ — აცხადებს კ. კანდელაკი. „მაგრამ ჰქმნის ასეთ პირობებს საბჭოთა ხელისუფლება?“.—კითხულობს ის.

კ. კანდელაკს არ სჯერა, რომ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს სოფლის ზედმეტ მოსახლეობის თანდათან მუშაობაში ჩაბმას, ხდება თუ არა ახალი კადრების ჩაბმა სამუშაოში? გავსინჯოთ ციფრები:

**ჩაბმულ მუშა ხელის მოძრაობა საქართველოში**

| კავშირები | 1921 წლის 1/X | 1924 წ. 1/X | 1925 წ. 1/X | 1926 წ. 1/X | 1927 წ. 1/X |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მრეწველობა და ალმშენ. (აბს.) | 22.168 | 24.935 | 34.370 | 35.721 | 41.323 |
| %%-ში | 100,0 | 112,5 | 155,0 | 161,1 | 186,4 |
| 2. სასოფლო მეურნეობა (აბს.) და მიწა-ტყის კავშირი | 2.883 | 3,677 | 9.022 | 22.808 | 26.453 |
| %%-ში | 100,0 | 127,5 | 312,9 | 791,1 | 917,5 |
| 3. ტრანსპორტი და ნაბმი (აბს.) | 19.879 | 26.184 | 30.747 | 32.422 | 33.594 |
| %%-ში | 100,0 | 131,7 | 154,7 | 163,0 | 169,0 |
| 4. სახელმწ., კოოპ., საბ. და სხვა (აბს.) | 44.608 | 46.927 | 53.976 | 58.082 | 59.432 |
| %%-ში | 100,0 | 105,2 | 121,0 | 130,2 | 133,2 |
| სულ (აბს.) | 89.538 | 101.723 | 128.115 | 149.033 | 160.802 |
| %%-ში | 100,0 | 113,6 | 143,1 | 166,4 | 179,6 |

რას ვხედავთ ჩვენ ამ ცხრილიდან? საქართველოს გასაბჭოებიდან სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში ჩაბმული მუშა - ხელი თანდათან მატულობს და 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის ჩაბმულ მუშა - ხელის რიცხვი აღის 160.802-მდე. წინააღმდეგ 89.538-სა — 1921 წელში. ე. ი. 6 წლის განმავლობაში მუშაობაში ჩაება ახლათ 71.000 კაცამდე. ე. ი. გაიზარდა 79,6 პროც.-ით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მრეწველობა იძლევა ზრდას 86,4 პროც.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ სურათს იძლევა ამ მხრივ მუშა - ხელის მოძრაობა საქართველოს დედა ქალაქში და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ცენტრში, ქ. თბილისში:

**მუშა ხელის მოძრაობა ქ. თბილისში.**

| კავშირები | 1923 წ. 1 ოქტ. | 1924 წ. 1 ოქტ. | 1925 წ. 1 ოქტ. | 1926 წ. 1 ოქტ. | 1927 წ. 1 ოქტ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მრეწველობა და ალმშენ. (აბს.) | 9.803 | 13.759 | 16.136 | 15.160 | 14.844 |
| %%-ში | 100,0 | 140,3 | 164,6 | 154,6 | 151,4 |
| 2. ტრანსპორტი და ნაბმი (აბს.) | 13.340 | 13.282 | 15.290 | 15.403 | 17.363 |
| %%-ში | 100,0 | 99,6 | 114,6 | 115,6 | 130,1 |
| 3. სასოფლო მეურნეობა და (აბს.) მიწა-ტყის კავშირი | 854 | 900 | 1.301 | 2.619 | 3.113 |
| %%-ში | 100,0 | 105,4 | 152,3 | 306,7 | 364,5 |
| 4. სახ. კოოპ. და სხვა კავშ. (აბს.) | 21.435 | 23.294 | 26.843 | 29.316 | 29.474 |
| %%-ში | 100,0 | 108,7 | 125,2 | 136,8 | 137,5 |
| სულ (აბს.) | 45.432 | 51.235 | 59.570 | 62.498 | 64.794 |
| %%-ში | 100,0 | 112,8 | 131,1 | 137,6 | 142,6 |

თბილისში ჩვენ გვაქვს საგრძნობი ზრდა ჩაბმულ მუშა-ხელისა, ოთხი წლის განმავლობაში იგი იზრდება 42,6 პროც.-ით, მატულობს 19 ათასი კაცით.

აქ მოყვანილი ცნობები საკმარისი უნდა იყოს ჩვენი აზრით, კ. კანდელაკის მტკიცების გასაბათილებლათ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებას არ შესწევდეს უნარი ზედმეტი მოსახლეობის ახალი ძალების მუშაობაში ჩაბმისათვის.

ეხლა საჭიროა შევჩერდეთ თვით უმუშევრობის მოძრაობაზე.

**უმუშევრობა თბილისში (შრომის ბირჟის მიერ აღრიცხვაზე აყვანილი უმუშ.).**

| | 1924 წ. 1 იანვარ. (ათასებ.) | 1927 წ. 1 აპრ. (ათასებ) | 1927 წ. ⁰/₀⁰/₀-ში 1924 წ. |
|---|---|---|---|
| ჩაბმული მუშა-ხელი . . . . . . | 44,8 | 62,7 | 139,9 |
| უმუშევართა რიცხვი . . . . . | 13,1 | 13,7 | 104,8 |
| უმუშ. რიცხ. ⁰/₀⁰/₀-ში ჩაბ. მ. ხელ. | 29,2 | 21,8 | — |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უმუშევრობა სამი წლის განმავლობაში მატულობს 4,8 პროცენტით, ხოლო ჩაბმული მუშა-ხელი იზრდება უფრო ძლიერი ტემპით (39,9 პროც.) უმუშევრების პროცენტი ჩაბმულ მუშა-ხელთან 29,2 პროცენტიდან ჩამოდის 21,8 პროცენტამდე.

**საქართველოს შესახებ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი:**

| | 1926 წლის 1 ოქტ. (ათასებ.) | 1927 წ. 1 ოქტ. (ათას.) | 27 წ. ⁰/₀⁰/₀-ში 26 წელთან. |
|---|---|---|---|
| ჩაბმული მუშა-ხელი . . | 149,0 | 160,8 | 107,9 |
| უმუშევრები . . . . . | 19,2 | 19,8 | 103,1 |
| უმუშევრები ⁰/₀⁰/₀-ში ჩაბმ. მუშა-ხელი . . | 12,9 | 12,3 | — |

აქაც ჩაბმული მუშა- ხელი იზრდება უფრო ძლიერი ტემპით, ვინემ უმუშევართა რიცხვი; 12,9 პროც.-დან უმუშევართა რიცხვი ჩამოდის 12,3 პროც.-მდე, მაშასადამე, ჩვენში უმუშევრობა თუმცა იზრდება **აბსოლიუტურად** შრომის ბირჟის მიერ აღრიცხვაზე აყვანილი უმუშევრების მიხედვით, მაგრამ **შედარებით** ის მცირდება და

ბოლოს რამოდენიმე წელში ახალი ფაბრიკა - ქარხნები და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია უმუშევრობას თანდათან შეამცირებს და დაიყვანს მას მინიმუმამდე.

უნდა ითქვას, რომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ჩაბმულ მუშა - ხელის ასეთი სისწრაფით ზრდა უმთავრესათ ხდება არა შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევართა ხარჯზე, არამედ იმ სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, რომელნიც ებმება **სოფელში ახლად აგებულ ფაბრიკა - ქარხნებში,** საბჭოთა მეურნეობაში (სოვხოზი), ტყის სამუშაოებზე და სხვა; ეს მუშები არ სწყვეტდა კავშირს სოფლის მეურნეობასთან, რითაც აიხსნება უმთავრესად ის გარემოება, რომ ჩაბმულ მუშა - ხელის ზრდა არ იწვევს აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა რიცხვის შემცირებას.

ეხლა გადავხედოთ ჩაბმულ მუშა - ხელის ზრდას ეროვნული შეამდგენლობის მიხედვით. ჩვენ შესაძლებლათ მიგვაჩნია შევისწავლოთ ეს საკითხი პროფკავშირთა წევრების მოძრაობის მიხედვით (სხვა ცნობები შრომის სტატისტიკის ბიუროს არ მოეპოვება).

**პროფკავშირთა წევრებს ეროვნული შემადგენლობა ⁰/₀⁰/₀-ში (პროფკავშირთა წევრებში 13-16⁰/₀-მდე შეადგენს უმუშევრები)**

| | 1923 წ. | 1924 წ. | 1925 წ. | 1926 წ. | 1927 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| ქართველი . . . . | 53,1 | 54,5 | 57,5 | 59,5 | 60,2 |
| სომეხი . . . . . | 20,7 | 19,5 | 18,5 | 16,9 | 16,1 |
| რუსი . . . . . . | 20,1 | 17,5 | 16,2 | 14,3 | 14,7 |
| დანარჩენი ეროვნ. . | 6,1 | 8,5 | 7,8 | 9,3 | 9,0 |
| ს უ ლ . . . | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100 0 | 100,0 |

აქ მოყვანილ ციფრებიდან თქვენ დაინახავთ, თუ როგორი თანდათანობით და შეუჩერებლათ იზრდება ქართველთა ხვედრითი წონა და როგორ მცირდება სხვა ეროვნებანი (სომეხი და რუსი), ქართველების ხვედრითი წონა 53,1 პროც.-დან (23 წელში) ადის 60,2 პროც.-მდე; წვრილ ეროვნებანიც თანდათან მატულობს, მათი დაქირავებულ შრომაში თანდათანობით ჩაბმის გამო. აშკარაა, რომ აქ თანაბრათ დაცულია საქართველოში მობინადრე ეროვნებათა ინტერესები.

ქ. კანდელაკი აცხადებს, რომ ჩაბმულ მუშა – ხელის რაოდენობა არ შეეფერება მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, რომ სისწორით განვიხილოთ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ესეც არ არის სწორი.

**1926 წლის დემოგრაფიული აღწერით საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ასეთია**

| | საქართველოში | | მ ა თ   შ ო რ ი ს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საქ. ყველა ქალაქებში | | ტ ფ ი ლ ი ს შ ი | | ტფილისსა და მის მაზრაში | |
| | აბს. | ⁰/₀⁰/₀ | აბს. | ⁰/₀⁰/₀ | აბს. | ⁰/₀⁰/₀ | აბს. | ⁰/₀⁰/₀ |
| | (ათას) | | (ათას) | | (ათას) | | (ათას) | |
| ქართველი . . . . . . . . . . | 1.788,2 | 67,1 | 286,8 | 48,3 | 114,6 | 39,0 | 185,7 | 41,0 |
| სომეხი . . . . . . . . . . . | 307,0 | 11,5 | 149,5 | 25,2 | 100,1 | 34,0 | 128,7 | 28,4 |
| რუსი . . . . . . . . . . . | 96,1 | 3,6 | 70,4 | 11,8 | 45,9 | 15,6 | 53,9 | 11,9 |
| დანარჩენი . . . . . . . . . . | 475,2 | 17,8 | 87,5 | 14,7 | 33,4 | 11,4 | 84,7 | 18,7 |
| ს უ ლ . . . . . . | 2.666,5 | 100,0 | 594,2 | 100,0 | 294,0 | 100,0 | 453,0 | 100,0 |

ქართველები მთლიანად საქართველოში შეადგენენ 67,1 პროც.-ს, ქალაქებში 48,3, თბილისში 399“, ხოლო თბილისსა და თბილისის მაზრაში 41, პროც.-ს.

თუ ავიღებთ ჩვენ პროფკავშირის წევრების ეროვნულ შემადგენლობას 1927 წლის 1-ლ ივლისისთვის პროცენტებში მივიღებთ შემდეგ სურათს:

| | საქართველოში | ტფილისსა და ტფილისის მაზრაში |
|---|---|---|
| ქართველი . . . . . . . . . . . | 60,2 | 47,6 |
| სომეხი . . . . . . . . . . . . | 16,1 | 25,4 |
| რუსი . . . . . . . . . . . . | 14,7 | 18,5 |
| დანარჩენი . . . . . . . . . . | 9,0 | 8,5 |
| ს უ ლ . . . . | 100,0 | 100,0 |

მიუხედავათ იმისა,, რომ ქართველები საქართველოში 67,1 პროც. ეს შეადგენს, პროფკავშირებში გაერთიანებულ ქართველების ხვედრითი წონა 60,2 პროც.-ით გამოიხატება, რაც აიხსნება უმთავრესად თბილისის დიდი ხვედრითი წონით, თბილისში და მის მაზრაში პროფკავშირებში გაერთიანებულ ქართველები 47,6 პროც.-ს შეადგენს, მაშინ როდესაც მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წონა 41,0 პროც. შეადგენს.

უნდა ითქვას, რომ შრომის ბირჟაში აღირიცხებიან ისეთნიც, რომელნიც ფაქტიურად არ ეძებენ სამუშაოს, ხოლო ნამდვილი უმუშევარნი, რომელნიც მართლაც ეძებენ სამუშაოს და ამ სამუშაოს შოვნაზეა დამოკიდებული ამათი ბედი, ბევრათ ნაკლებია. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაძლევს 26 წლის დემოგრაფიული აღწერის მასალები უმუშევრების ეროვნული შემადგენლობა საქართველოში 1926 წ. ნოემბრის დემოგრაფ. აღწერით:

| | აბს. | %% |
|---|---|---|
| ქართველი . . . . . . . . . . | 5.286 | 41,1 |
| სომეხი . . . . . . . . . . . | 3.568 | 27,7 |
| რუსი . . . . . . . . . . . | **2.507** | 19,5 |
| დანარჩენი . . . . . . . . . . | 1.502 | 11,7 |
| ს უ ლ . . . . | 12.863 | 100,0 |

ინსტრუქციის ძალით აღწერის დროს აღირიცხებოდენ ისეთი უმუშევავრნი, რომელნიც ნამდვილად ეძებენ სამუშაოს და სხვა შემოსავლის წყარო არ ქონდათ. ასეთი უმუშევრები დემოგრაფიული აღწერით აღმოჩნდა არა 19 — 20 ათასი, როგორც ბირჟა უჩვენებს, არამედ 13 ათასამდე.

უნდა ითქვას,, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ღებულობს უმუშევართა მდგომარეობის შესამსუბუქებლათ, უმუშევრები სარგებლობენ იაფფასიანი სასადილოებით, თითქმის უფასო ბინებით, სრულიად უფასო წამლობა-ექიმობით და სხვ. **1927 1 ოქტომბერში** ითვლებოდა 4,2 ათასი დაზღვეული უმუშევარი, რაც შეადგენს უმუშევრების 21,2 პროც.-ს (წინა წელში კი 18 პროც.); მათ მიეცათ ყოველთვიური დახმარების სახით 26 — 27 წლის განმავლობაში 654 ათასი მანეთი, საშუალოთ თვეში თვითეული დაზღვეული უმუშევარი ღებულობს დაახლოებით **13—14 მანეთს.** უმუშევრები დახმარებას ღებულობენ პროფკავშირების ნაზითაც.

გარდა ამისა რესპუბლიკაში ეწყობა საზოგადოებრივი სამუშაოები და უმუშევართა კოლექტივები. 1926—27 წლის ბიუჯეტით საქართველოს შრომის კომისარიატმა მიიღო უმუშევრობასთან საბრძოლველათ **198,8 ათასი მანეთი;** იხარჯება დიდი თანხები კოლექტივების მოსაწყობათ, უმუშევართა კვალიფიკაციის ასაწევათ და სხვა. 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში იყო 44 უმუშევართა კოლექტივი, სადაც ჩაბმული იყო 1.846 უმუშევარი; შედარებით წინა წელთან ჩვენ გვაქვს უმუშევრების კოლექტქივებში ჩაბმის ზრდა 19,5 პროცენტით. ამრიგად კოლექტივებში ჩაბმულ უმუშევართა რიცხვი შეადგენს უმუშევართა საერთო **რიცხვთან 10 პროცენტს;** მათ მიეცათ ხელფასის სახით **819.051 მანეთი,** ხოლო მათ მიერ ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვი უდრის 371.404. ამრიგად თვითეული უმუშევარის დღიური ხელფასი უდრის **2 მან. 21 კაპ.**

კ. კანდელაკი მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკიდან ისეთ მდგომარეობას, თითქოს ვინმე ამტკიცებდეს, რომ ჩვენში სოციალიზმი უკვე განხორციელებული იყოს. ის სწერს: „სოციალისტურ ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციასთან უფრო დიდი ადგილი წვრილსა და შინამრეწველობას უჭირავსო. აქაც არსებობს ვაჭრობა, ბანკები, დაქირავებული მუშა, უმუშევრობა და სხვა“. კ. კანდელაკისათვის ახალი ამბავი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ კომუნისტური პარტია საბჭოთა სახალხო მეურნეობას სთვლის სოციალიზმში გარდამავალ პერიოდათ, არა სამეურნეო ფორმებს: ნატურალურ - გლეხური მეურნეობა, საქონლით წვრილი მეურნეობა (სადაც ადგილი არ აქვს დაქირავებულ შრომას), კაპიტალისტურ წარმოებას და სოციალისტური მეურნეობა— მთავარი დამახასიათებელი თვისებაა საბჭოთა მეურნეობისა ის არის, რომ აქ სოციალისტური ურთიერთობანი და მეურნეობის ფორმები დიდი სიძლიერით ეჯახებიან კაპიტალისტურ და სხვა არა სოციალისტურ ფორმებში და ბოლოს შესცვლიან მათ სოციალისტურ ფორმებით (გადასვლა სოციალიზმში)—აი, რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«Ни один коммунист не отрицал того, что выражение «Советская Социалистическая Республика» означает решимость советской власти осуществить переход к социализму, а вовсе не признание данных экономических порядков соционалистическими» (т XVIII, ч. I, стр. 186).

**საერთო სურათი** მრეწველობის და შრომის საკითხებში მთავარი მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი ცხრილში:

| მაჩვენებლები | 24/25 წ. | 25/26 წ | 26/27 წ. | %%-ში 24/25-წელ. | | 26/27 წ. %%-ში 25/26 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 25/26 წ. | 26/27 წ. | |
| 1. პროდუქცია (ათას ჩერვ. მან.) (ცენზიან მრეწველ.) (შავი ქვის და წყალსადენის გამოკლ. . | 30.072,6 | 46.072,3 | 48.782,7 | 153,2 | 162,2 | 105,9 |
| მ. შ. სოციალ. სექტორის . . . . . . . . . | 28.961,7 | 44.258,6 | 47.800,4 | 152,8 | 165,0 | 108,0 |
| 2. მუშების რიცხვი (ცენზიან მრეწველობაში) . . | 8.809 | 10.175 | 10.950 | 115,5 | 124,3 | 107,6 |
| მ. შ. სოციალ. სექტორის . . . . . . . . . | 8.652 | 10.021 | 10.857 | 115,8 | 125,4 | 108,3 |
| 3. კაპიტალური ხარჯები ს. მ. უ. ს.მრეწველობაში . . . . . . . . . . . . . . . . | 1.233,9 | 3.971,8 | 5.211,2 | 321,9 | 422,3 | 131,2 |
| 4. მუშის თვიური а. ნომ. ხელ. (ცენზიან მრეწვ.) | 48—00 | 60—70 | 65—50 | 126,4 | 136,4 | 107,8 |
| в. რეალური ხელფასი . . . . . . . . . . . | 20—43 | 24—41 | 25—32 | 118,9 | 123,9 | 103,7 |
| 5. მუშის ბიუჯეტი (ტფილისში) . . . . . . . | 75—51 | 96—46 | 100—42 | 127,7 | 133,9 | 104,1 |
| 6. ჩაბმული მუშა-ხელი (საერთოთ) (ათასებში) . | 101,7 | 128,1 | 149,0 | 125,9 | 146,5 | 116,3 |
| 7. უმუშევარნი პროცენტებში ჩაბმული მუშა ხელთან . . . . . . . . . . . . . . . . | — | 12,9 | 12,3 | — | — | — |

(თბილისში მუშის ბიუჯეტი აღებულია: 25 წ. თებერვალი, 26 წ. თებერვალი და 26 წ. ნოემბერი).

აქ მოყვანილი დასკვნითი ცხრილის მთავარი მაჩვენებლები გვიხატავს საერთო სურათს ჩვენი მრეწველობის და მუშების მდგომარეობის შესახებ:

1) მრეწველობის პროდუქცია ორი წლის განმავლობაში იზრდება 62,2 პროცენტით, აქედან სოციალისტური სექტორის (სახ. და კოოპ.) პროდუქცია გაიზარდა უფრო მეტათ 65,0 პროცენტით.

2) ორი წლის განმავლობაში ცენზიან მრეწველობაში ჩაბმული მუშა-ხელი გაიზარდა 24,3 პროცენტით — სოციალისტური სექტორი —25,4 პროცენტით.

3) მატულობს მუშების როგორც ნომინალური, ისე რეალური ხელფასი—პირველი გაიზარდა ორი წლის განმავლობაში — 36,4 პროც., ხოლო მეორე—23,9 პროც.

4) მუშის თვიური ბიუჯეტი თანდათან ფართოვდება და ორ წელში იძლევა ზრდას—33,9 პროცენტს.

5) კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში წლიდან-წლამდე იძლევა დიდ ზრდას, ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 322,3 პროცენტით.

6) ჩაბმული მუშა-ხელის რიცხვი საერთოდ დიდი სისწრაფით იზრდება და ორ წელში გვაძლევს — 46,5 პროცენტის მატებას.

7) უმუშევრობა **შედარებით** მცირდება (12,9 პროცენტიდან ჩამოდის 12,3 პროცენტამდე).

თუ ჩვენ ობიექტიურად შევაფასებთ არსებულ მდგომარეობას, თუ ჩვენ საბჭოთა მეურნეობას შევხედავთ, როგორც გარდამავალ პერიოდის მეურნეობას, თუ ჩვენ მოვლენებს და ფაქტებს განვიხილავთ დინამიური განჭვრეტით, ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრები უსათუოდ მიგვიყვანს შემდეგ დასკვნამდე:

1. საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ინტერესების გამომხატველია: ის ყოველგვარ ზომებს ღებულობს მუშის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ; ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორი მიღწევები გვაქვს ამ მხრივ, ჩვენი მუშის მატერიალური მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება და ბოლოს ჩვენ მივაღწიეთ დიდი გადაჭარბებით ომის წინ არსებულ მდგომარეობას და, თუ მივიღებთ სოციალური დაზღვევის და სხვა სახით დახმარებას, უნდა ითქვას, რომ მუშის მდგომარეობა, ომის წინა დროსთან შედარებით, თითქმის ერთიორად გაუმჯობესებულია.

2) საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ჩვენში უდიდეს სოციალისტურ აღმშენებლობას, რითაც უმზადებს ნიადაგს სოციალიზმის განხორციელებას. ხდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ელექტროფიკაცია, თანდათან სოციალისტური ფორმები ძლიერდება, ხოლო კერძო კაპიტალისტური იძულებული ხდება დასთმოს თავისი პოზიციები. ჩვენ უკვე დავინახეთ, , როგორი სისწრაფით ხდება მრეწველობის განვითარება, როგორი სიძლიერით იზრდება მრეწველობის ძირითადი კაპიტალი, როგორი ტემპით სწარმოებს ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგება.

ასეთია საბჭოთა საქართველოს მიღწევები მრეწველობასა და შრომის დარგებში; ეს მიღწევები მით უმეტეს დიდ საქმეთ უნდა ჩაითვალოს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ პირობებს, რომელშიდაც უხდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას მუშაობა. უამრავი დაბრკოლებანი, მრავალ შეცდომებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეშვიდე წლის თავზე დიდი მიღწევები უდავოთ უნდა ჩაითვალოს.

**ვლ. პაპავა.**

ვსარგებლობდი საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიუროს მასალებით.

**ვლ. პ.**

# ადგილობრივი მრეწველობა

**III.**

ამჟამად ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები მეტად საპასუხისმგებლო და სერიოზულ მუშაობას აწარმოებენ. ეს მუშაობა მომავალი ხუთი წლის საპერსპექტივო გეგმის შედგენაში მდგომარეობს.

საბჭოთა სინამდვილეში გეგმა და გეგმიანი მუშაობა შეადგენს სამეურნეო აღმშენებლობის საფუძველს. იმდენად, რამდენათ წინასწარ გათვალისწინებული იქნება მომავალი სამრეწველო შესაძლებლობა, შესაძლებელია გეგმის მიერაც ანგარიშგაწეულ იქნას საამშენებლო საქმიანობა. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი მოვლენა, რომელიც დიდად უშლის ხელს საგეგმო მუშაობას, ეს გახლავთ ჩვენი ქვეყნის საფუძვლიანი შეუსწავლელობა.

ცალკე წამოჭრილი საკითხის დროს ხდება ხოლმე ამა თუ იმ დარგის, ან რაიონის გამოკვლევა, მაგრამ ამას აქვს სპორადიული ხასიათი. ჩვენ გვაქვს ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო აღმშენებლობის,, გვაქვს სხვა მრავალი გეგმებიც, მაგრამ არა გვაქვს გათვალისწინებული ის, რაც ყველა ამ **გეგმებისათვის** უმთავრეს საჭიროებას წარმოადგენს, სახელდობრ **გეგმა,—გენერალური გეგმა — ქვეყნის ეკონომიურათ და გეოლოგიურად შესწავლისა.**

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად ბევრ მნიშვნელოვან საკითხს სათანადოთ ვერ ვასაბუთებთ, არა გვაქვს საშუალება მალამო ნამდვილ მტკივან ადგილს **დავადოთ. ეს შეეხება არა მარტო** ადგილობრივ მრეწველობას, არამედ ყოველგვარ სამრეწველო წამოწყებას, როგორც ნედლეულის გადამუშავების საქმეს, ისე ნედლეულის მიწის წიაღიდან ამოღებას.

ადგილობრივი მრეწველობისათვისაც, რა თქმა უნდა, ღრმა მნიშვნელობა ექნება ასეთ შესწავლას, ვინაიდან ამ გზით მოსახერხებელი გახდება მეტი ანგარიში გაეწიოს ადგილობრივ ნედლეულის რესურსებს და აშენდეს ადგილობრივი მნიშვნელობის **დარგების მთელი სისტემა.** ამას მოითხოვს როგორც ქვეყნის საერთო ინტერესები და უკანასკნელი წლების სამეურნეო მიდრეკილება, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსიური და პოლიტიკური ინტერესები.

ამიტომ პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას ქვეყნის ეკონომიკის ფართოდ შესწავლის აუცილებლობას.

არსებული მასალების მიხედვით, რასაკვირველია, შესაძლებელია საპერსპექტივო გეგმის აშენება და ჩვენც შევეცდებით აღვნიშნოთ ზოგიერთი დარგები და შესაძლებლობანი, რომელთაც ნედლეულის ბაზა, გააჩნიათ ეკონომიური ყაირათიანობას მომავალი აქვთ.

გეგმის შედგენის დროს შესაძლებელია ორი მთავარი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ:

1) ჩვენი მხარის ადმინისტრატიულად დაყოფა და მის ფარგლებში ამა თუ იმ სამრეწველო დარგის განვითარება.

2) არსებულ ნედლეულის მიხედვით წარმოებათა აღმშენებლობა, **ანუ პირველ** შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოდ წმინდა ადმინისტრატიული პრინციპით, ხოლო მეორე შემთხვევაში ეკონომიური მიზანშეწონილობით, ნედლეულზე დაყრდნობით.

მეორე მეთოდი უფრო ხელსაყრელი და სწორი იქნებოდა, რომ ჩვენ ხელთ გვქონდეს საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია საკმაოდ შესწავლილი, მაგრამ ამის უქონლობის გამო და იმიტომაც რომ ადგილობრივი მრეწველობა ადმინისტრატიული ერთეულის პრობლემას ებჯინება, უფრო რაციონალური იქნება პირველი გზა ავირჩიოთ. დავიწყოთ ჩამორჩენილ მაზრებიდან.

ავიღოთ ოზურგეთის მაზრა.

ადგილობრივი მრეწველობა ამ მაზრაში სრულებით ახალი მოვლენაა. მხოლოდ გასული წლის დეკემბრიდან არსებობს სავაჭრო სამრეწველო ტრესტი „შრომა“-ს სახელწოდებით, რომლის მმართველობაში შედის ერთი ხის სახერხი ქარხანა,, სადურგლო, თხილის სარჩევი (იქნება მომავალი სეზონიდან), სავაჭრო რკინეულობით, ჭურჭლეულობით, ტყავეულობით და საკანცელარიო ნივთებით. ამავე ტრესტში შედის საექსპორტო ხე-ტყის დამამზადებელი ნაწილი.

თუ გასული 4—5 თვის საქმიანობას გადავხედავთ, ამ დასკვნამდე მივალთ, რომ ტრესტი ჯერ-ჯერობით უმეტეს ნაწილად უფრო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებს, ვიდრე სამრეწველოს.

ეს ადვილი ასახსნელიცაა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ოზურგეთის მაზრა სხვა მაზრებზედ მრეწველობის განვითარების მხრივ უფრო ჩამორჩენილია და ამიტომ მოითხოვს ნედლეულის რესურსების საფუძვლიან აღნუსხვას.

ი. ნარსია.

---

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## მშრომელი ახალგაზრდობის მორიგი ამოცანები*)

II.

ქვეყნის მართვა-გამგეობა ერთობ რთული საქმეა.

აღმოსავლეთის ძველ ქვეყნებში, სადაც მარტოოდენ ომში და ქიშპობაში გადიოდა მთელი საუკუნე—ფიქრობდენ, რომ მართვა-გამგეობისათვის საკმაოა მარტო პოლიტიკური ძლიერება, იარაღი და ჯარი. თუ კიდევ სხვა ძლიერებით აღიჭურვება სახელმწიფო მართვა-გამგეობის დროს ხომ კარგიდა, თუ არა აღნიშნული 2 პირობაც საკმაოა-ო. მაგრამ გავიდა დრო და ისტორიამ ასეთი შეხედულება არ გაამართლა. იარაღითა და ჯარით ძლიერმა (ნახევრად ველურ) ტომებმა დაპყრობილ კულტურულ ქვეყნებში დიდი ხნით ბატონობა ვერ შეინარჩუნეს. უიარაღო და უჯარო თავიანთ სახელმწიფოებმა ყოველთვის დაამარცხეს—იარაღითა და ჯარით ძლიერი, მაგრამ ამავე დროს უთავო მპყრობელები. და საბოლოოდ ყველასათვის გასაგები გახდა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის — პოლიტიკურძლიერებას გარდა — საჭირო ყოფილა კიდევ სხვა რაღაც, რომელიც ამ ძლიერებას მოიხმარს და გამოიყენებს, რომ საჭირო ყოფილა კიდევ ის, რასაც მოკლეთ კულტურულ ძლიერებას უწოდებენ.

და დღეს ყველა სახელმწიფოები, ბურჟუაზიული, კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური, რომელთაც არსებობა დღემდე მოუტანიათ, ყველანი იმის ცდაშია,, როგორმე პოლიტიკურად და კულტურულად გაძლიერდეს და გამაგრდეს. ყველას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ მოხდება გადამწყვეტი ომი და, რომ ამისათვის მას დასჭირდება არა მარტო თოფიდა ზარბაზანი, არამედ აგრეთვე კარგი პოლიტიკოსები და სტრატეგები, დასჭირდება განათლება და კულტურულ საფუძველზე აგებული სახელმწიფო.

ცხადია, ასეთ სამზადისში და კაპიტალისტური გარემოცვის ასეთ პირობებში — არც საბჭოთა კავშირი იკრეფს ხელებს გულზე მასაც კარგათ აქვს შეგნებული, რომ მისი არსებობა—განვითარება—მის პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერებაშია.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირმა და კერძოთ საქართველომ პირველი პირობა უკვე შექმნა ისე, ვიდრე არასოდეს. მრავალ მილიონიან მშრომელთა პოლიტიკურ კონტაქტში მყოფი ჩვენი ქვეყანა სრულიად უზრუნველყოფილია მყუდრო ცხოვრებისათვის და ეროვნულ განვითარებისათვის საჭირო პირობებით და პერსპექტივებით. მთელ თავის ისტორიულ გზაზე ქართველი ერი არას დროს არ ყოფილა ასე დაცული და უზრუნველყოფილი, როგორც დღეს. მაგრამ ეხლა მყუდრო ოჯახში, მყუდრო განვითარება და წინსვლაა საჭირო.

ვინ უნდა შეასრულოს ეს როლი? საბჭოთა საქართველოში ეს როლი უნდა შეასრულოს საქართველოს მშრომელმა ახალგაზრდობამ, კომკავშირმა.

საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის მიერ კი პოლიტიკური თვითგამორკვევის გზაზე უკვე ყველაფერი მიღწეულია. მან ახალ პოლიტიკურ მოვლენას უყო მეცნიერული ანალიზი და იგი ამ მოვლენის განმტკიცების იდეით განიმსჭვალა. მაგრამ მარტო თვითგამორკვევა, ან იდეით განმსჭვალა წყალზე დაწერილი თამასუქია.—თვითმოქმედებისა და თვითგამორკვევის საგნის მიღწევის იქით. ქვეყნად სოციალიზმის დასამყარებლად როდია საკმარისი მარტო პლატფორმის მიგნება. მარტო სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე დადგომა. საჭიროა ამ გზის გაკაფვა და მისი ბოლომდე გავლება.

**დანაშაული ის კი არ არის, რომ გზების აღმოჩენაში სცდებიან ხოლმე,—დანაშაული მაშინაა, როცა აღმოჩენილ გზაზე სწორად სიარული არ გვემარჯვება. ესაა —** ტრაგიზმი. ჩვენმა ახალგაზრდობამ, კომკავშირმა, სწორედ აქ უნდა შეასრულოს ეპიგონების დიდი როლი.

ჩვენში საკითხი სწორედ ამ მიმართულებით უნდა დაისვას. დღეს თვითეული კომკავშირელი უნდა არკვევდეს—თუ სწორ გზაზე მდგარი საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა, რომელსაც კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ნათლად შეგნებული აქვს თავისი პოლიტიკური და კულტურული ვალი, როგორ მიდის წინ საბოლოო მიზნისაკენ, რა არ ემარჯვება მას აქ. და რა ნიუანსებია მოსალოდნელი ამ მხრივ? გზა და გზა ამ ამოცანების გადაწყვეტა ჩვენს ახალგაზრდობას გამიჯნავს მოსალოდნელ სიძნელეებისაგან და მას საბოლოო მიზნისაკენ პირდაპირ მსვლელობას გაუადვილებს.

ვინ გვყავს ჩვენ მხედველობაში, როცა საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობაზე ვლაპარაკობთ?—რასაკვირველია ამ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, პოლიტიკურად მოქმედი ორგანიზაცია—კომკავშირის სახით და აგრეთვე ყოფ. ახ. მარქსისტთა ათასეული კადრი, რომელმაც იცნო ამ ორგანიზაციის იდეოლოგია და მასთან პოლიტიკურად გაერთიანდა.

რა აკლია ერთსაც და მეორესაც? რაში ვართ სუსტები, და რაში ძლიერები?

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომკავშირს 7 წლის განამვლობაში, არაფერში სისუსტე არ გამოუჩენია. პირიქით, ისტორიას არ ახსოვს ასეთი უნარიანი და საქმიანი ახალგაზრდობა. ფოლადისებური ენერგია, გადაჭარბებული ობიექტივიზმი, ყველაფერში სიმძიმე, პერსპექტივების ლენინური ანალიზი, რწმენის სიმტკიცე, საქმიანი ხელი და სხვა... აი რა ახასიათებს საქართველოს კომკავშირს. ასეთი ღირსებებით აღჭურვი-

*) წერილი სადისკუსიოა. რედ.

ლმა საქართველოს კომკავშირმა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში გამოიბრძმედა და გამოცდაც „ფრიადზე“ ჩააბარა. მან ამ მხრივ უკვე შექმნა აქტიური სალდო და ამით მას კიდეც შეუძლია იამაყოს. ნაკლი, რომელიც ახასიათებდა ყოფ. ახ. მარქსისტებს—შიშველი თეორიულობა და მოვლენის ზერელე შეგრძნობა, კომკავშირის მაგალითით, რასაკვირველია, გამოსწორებული იქნება.

მაგრამ ყველა ამას გარდა, კომკავშირსა და ყოფ. ახ. მარქსისტებს პირველ ყოვლისა, აქვთ ერთი დიდი ნაკლი, რომელსაც, სამწუხაროთ, ეს ახალგაზრდობა და მოზარდებიც ძლიერ მცირე ყურადღებას აქცევდენ დღემდე. პირველ ყოვლისა ესაა—ენათ მცოდნეობის გულგრილი მოპყრობა და მისი ზერელე შესწავლა,—ესაა ჩვენი და ჩვენთვის ყოველ წუთში საჭირო ენების უცოდინარეობა.

**არ ვიცით ქართული ენა, არ ვიცით რუსული ენა; არ ვიცით ქართული მართლ - წერა, არ ვიცით არც რუსული წერა.**

ეს კი ყველაფერს უდრის. მშობლიური ენის იქით ჩვენ ბიჯსაც ვერ გავსდგამთ. რუსული ენაც ჩვენ ყველაფერში გვჭირდება.

ერთი მხრით, სოციალისტურ რესპუბლიკაში სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებისათვის. (კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში) თუ ჯარი და იარაღი აუცილებელია, მეორე მხრით ამავე რესპუბლიკაში კულტურულ ძლიერებისათვის ენათ მცოდნეობა გარდაუვალია. უკანასკნელი ლოღიკური წინამძღვარია ყველა ფრონტზე მეცნიერულ მუშაობისათვის. რათ გინდა პოლიტიკური გამჭრიახობა და უნარი, ან სწორი გზა და ამ გზაზე სწორი ბრძოლა, თუ ყველა ამას წერილობით და ზეპირ სიტყვიერებაში სწორად ვერ გამოსთქვამ, თუ გეყოლება მუნჯი სტრატეგები, მუნჯი პოლიტიკოსები? ეს კი საჭიროა საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, საჭიროა მტერთან და მოყვარესთან.

მართალია, — სახელმწიფო მართვა-გამგეობის კეთილად წარმართვის პირობა სწორი პოლიტიკის წარმოებაა, რაც ჩვენ უკვე გვაქვს, მაგრამ ამ სწორი პოლიტიკის გატარების საშუალება—ენაა, რაც ჩვენმა ახალგაზრდობამ არ იცის.

რა ვქნათ? როგორ შევისწავლოთ ენა? თუ დღემდე ამას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, დღეიდან როგორ გამოვასწოროთ ეს პირველად გამოსასწორებელი ნაკლი?

ამის შესახებ ჩვენ უფროსები მართებულად გვისაყვედურებენ. ამ ჟურნალის რედაქტორს—დამსახურებულ პუბლიცისტსაც ხშირად საყვედურით მოუმართავს ჩვენთვის, ყოფ. მარქსისტთა ახალგ. კალმოსნებისათვის:—რას შვრებით, ენა არ იცით, რევოლიუციის ხელმძღვანელობა ხომ უენოთ არ შეიძლება, ჩვენ ნაცვლად კი ეხლა თქვენ უნდა ლაპარაკობდეთ, თქვენ უნდა სწერდეთ. რა ზომებს ღებულობთ ამისათვის, რას შვრებით“?

ეს მართლაც დიდი და სერიოზული საკითხია. ასეთი წუხილი და საყვედური დღეს წამალია. მაგრამ ხომ არ კმარა, რომ ამ უდიდეს ნაკლს ერთმა ანორმა მიაქციოს ყურადღება ჩვენში?

დღეს, უბრალო შემთხვევა როდია,, როცა ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენტი, გინდ კომკავშირელი და გინდ სხვა ვინმე 2 წინადადებას ერთმანეთზე ვერ წაგიბამს ისე, რომ შიგ 10 შეცდომა არ დაუშვას. უბრალო შემთხვევა როდია, როცა ქართველი სტუდენტი და ზოგჯერ უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები ერთ ხეირიან წერილს, ვერც ქართულს და ვერც რუსულს ვერ დაგიწერს ისე, რომ იგი შეცდომებით არ აჭრელოს. და თუნდაც უბრალო შემთხვევა, როდია, როცა საქართველოში პოლიტიკურ ახალგაზრდობას—კომკავშირს, რომლის თვისობრივი და რიცხვობრივი ღირსება დღითი—დღე იზრდება—არ აქვს საჭირო პრესა—ბინა, სადაც მან ნამდვილად შესძლოს ენის შესწავლა, წერა და ლაპარაკი, სადაც მან სისტემატიურად შესძლოს მორიგი საკითხების გაშუქება უფრო ფართედ, უფრო აკადემიურად ისე, რომ ამ პრესას დაურჩეს თავისი მკითხველი, თავისი ბაზარი?

**ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწე ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს საკუთარი პრესის და ბეჭდვითი სიტყვის მეტი კულტურა.** ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკური ხასიათის პრესის 90 პროც. მოზარდებს ეკუთვნის. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს—ახალგაზრდობისათვის პოლიტიკურ სარბიელზე—პრესაში უფრო ფართე ასპარეზის დათმობის გზით. სამისო ფხა და უნარი მას აქვს. საჭიროა მხოლოდ მისი დამუშავება და გამოყენება, რომლის ერთ-ერთი საშუალება—ისევ პრესაა. მაგრამ ეს ენის მეცნიერული თვისების მხოლოდ ერთი საშუალებათაგანია.

კიდევ რაა საჭირო?

სტუდენტი, კომკავშირელი ან სხვა ვინმე, რომელიც პროფესორის ლექციას უცხო სტუმარივით შორიდან უსმენს—ქართულ ენას და მართლ-წერას ვერ შეისწავლის. ამისათვის საჭიროა სპეციალური სკოლა, სპეციალური მუშაობა, სპეციალური კურსების გახსნა, სადაც მოწვეული უნდა იქნას ენის მცოდნე პუბლიცისტები, ქართველი კალმოსნები და ასევე რუსული ენის მცოდნენიც.

ჩვენი ქვეყნის რენესანსის პერიოდში—ჩვენ უკვე ვსვამთ ამ საკითხს, რადგან იგი ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობისათვის, რომელმაც საკუთარი ხელით უნდა შეაღოს სოციალიზმის ბრწყინვალე კარები, პირველ მოსაგვარებელ ამოცანად გვეჩვენება.

ყველა კომკავშირელმა უნდა იცოდეს, რომ იგი რევოლიუციის კულტურული შემოქმედია, ხოლო შემოქმედება კი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, თუ ენა კარგათ არ იცი—უნაყოფოა. უნდა იცოდეს, რომ საკუთარ ქვეყანას იგი კულტურულ საფუძველს ვერ შეუქმნის, თუ მან ქართული ენა კარგად არ შეისწავლა*)

**შოთა გოგუა.**

**რედაქციის შენიშვნა:** ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა ავტორის ზოგიერთ აზრებს არ ვიზიარებთ, ენისა და წერის შესასწავლად პრესა არ გამოდგება. აქ სხვა ნაცადი გზებია საჭირო. პრესა ენის შესასწავლი სკოლა როდია.

# გურიის სამეურნეო პერსპექტივები

კულტურულად და პოლიტიკურად საქართველოს დანარჩენ კუთხეებზე გაცილებით მაღლა მდგომი და დაწინაურებული გურიის გლეხობა, ეკონომიურად თითქმის ყველა კუთხეებზე უფრო მეტ სიღარიბეს და ხელმოკლეობას განიცდიდა მთელი ათეული წლების განმავლობაში. შეუძლებელია იმის თქმა, რომ გურულ გლეხს სხვაზე უფრო ნაკლებ უყვარდეს შრომა, და ის თავდადებულად არ მუშაობდეს მთელი წლის განმავლობაში თავის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირიქით, გურიაში გაცილებით უფრო მეტს შრომობენ, ვინემ საქართველოს სხვა რაიონში, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს შრომა არ იძლევა ისეთივე დადებით შედეგებს, როგორც სხვაგან.

გურიის ეკონომიურად ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო და არის სახნავ-სათესად სავარგისი მიწების სიმცირე. გურიის გლეხობა ხშირად იძულებულია თავისი საცხოვრებელი ეზოდან 20—30 კილომეტრის დაშორებით ეძიოს საყანე მიწა და ასე შორი მანძილზედაც ის საკმაოდ არ მოიპოვება. გურიაში იშვიათად შეხვდებით ისეთ გლეხის ოჯახს, რომელსაც გასასყიდი სიმინ-

დი მოეპოვებოდეს, უმრავლესობას კი ის ყოველთვის საყიდელი აქვს.

საიდან ინაზღაურებს გურული გლეხი ამ დანაკლისს? ხშირად ის რამოდენიმე თვეების განმავლობაში სტოვებს თავის სახლ-კარს და მიდის ქალაქად სამუშაოს საძებნელად, ანდა ნაწილობრივ უფრო შეძლებულებს ბაზარზე გამოაქვთ გასასყიდათ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, როგორიც არის მაგალითად თხილი, აბრეშუმის პარკი, ხილეულობა, არაყი და სხვა.

თვითმპყრობელობის დროს გურიის გლეხობის უმთავრეს შემოსავალ წყაროს წარმოადგენდა აბრეშუმის პარკი, თხილი და არაყი. არაყი უმთავრესად მზადდებოდა ეგრედწოდებულ ადესის დაბალი ხარისხის ღვინისაგან, რომელიც გურიაში ერთობ ბლომად მოდიოდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ყურძნის მოსავალი თანათანობით კლებულობს და დღეს ის გადაშენების გზაზეა შემდგარი. ამის თავიდან ასაცილებლად გლეხობამ გურიის ზოგიერთ რაიონებში ხელი მიყო ამერიკული ვაზის გაშენებას, მაგრამ აქაური ნესტიანი ხავა სრულებითაც არ უწყობს ხელს გურიაში მევენახეობის განვითარებას და ის ვერასოდეს ვერ დაუხალოვდება კახეთისა და იმერეთის მევენახეობას .რაც შეეხება თხილისა და აბრეშუმის მოსავალს, მსოფლიო ომის დროს საზღვრების დაკეტვის გამო თხილის ფასები ძალზე დაეცა, ხოლო აბრეშუმის მოსავალიც თითქმის განახევრდა.

უკეთესი მდგომარეობა გურიის სამეურნეო პერსპექტივებისათვის არც მენშევიკური ხელისუფლების დროს არსებობდა. რუსეთის თვალუწვდენელი ბაზარი ჩვენი სოფლის ნაწარმოებისათვის დახურული იყო, ხოლო ევროპიდან ჩამოსული მტაცებლები მუდამ იმას ცდილობდენ, რომ ჩალის ფასად ჩაეგდოთ ხელში ჩვენი მეურნეობის პროდუქტები, ხოლო ამის სანაცვლოდ მაღალ ფასებში გაესაღებიათ თავიანთი საფაბრიკო ნაწარმოები.

მენშევიკური მთავრობა ერთხელაც არ ცდილა მიეღო რაიმე ზომები გურიის გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ამ მხარეში შეექმნა მტკიცე ბაზა კულტურული მეურნეობის გასაჩაღებლად. მართალია გურია მწვავედ განიცდის მიწის სივიწროვეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ არ შეიძლებოდეს სხვა გამოსავალის პოვნა და ამ კუთხის ეკონომიურად მოღონიერება.,

რა ნაბიჯები იქნა ამ მიმართულებით გადადგმული საბჭოთა ხელისუფლების მიერ?

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ გურიის გლეხობის დიდი ხნის საოცნებო საგნის—ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის გაყვანა, რითაც გურიის ცენტრი დაუკავშირდა მთავარ მაგისტრალს და ფართე პერსპექტივები გადაიშალა გურიის სამეურნეო აღორძინებისათვის. დიდი ხნის წინედ იყო განზრახული ამ გზის გაყვანა, მენშევიკური მთავრობაც ფიქრობდა მის გაკათებას, მაგრამ სიტყვა საქმემდე არ მისულა, სანამ საბჭოთა ხელისუფლებამ დაკვრითი წესით არ განახორციელა ის. გარდა იმისა, რომ ამ გზას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს გურიისათვის, მან სამუშაო გაუჩინა ასეულ მუშა-ხელს თავისი საცხოვრებელ სახლ-კარის ახლოს.

შემდეგი დიდი საქმე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა გურიაში, ეს გახლავს მეაბრაშუმეობის გავნითარების მტკიცე ბაზრის შექმნა. გარდა იმისა, რომ მეაბრაშუმეობა გურშიაში ყოველწლიურად ვითარდება, ოზურგეთში გაიხსნა აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა, ხოლო მიმდინარე წელში იქვე ამუშავდება მეორე ქარხანაც, რომლებიც მთლიანად გადაამუშავებენ გურიაში მოგროვილ აბრეშუმის პარკს. ამ ქარხნების აგებით გურიის გლეხობა ორგვარ მიზანს აღწევს, პირველი ის რომ მეაბრაშუმეობის განვითარებას ეყრება მტკიცე ბაზა, ხოლო ქარხნებში სამუშაოს პოულობს მშრომელი გლეხობიდან გამოსული მუშა-ხელი.

ასევე წარმატების გზაზეა შემდგარი თხილის გასაღების საქმეც, რომელიც მენშევიკური ხელისუფლების დროს სავსებით დახშული იყო. დღეს თხილს ფართე ბაზარი აქვს და მისი ფასებიც საგრძნობლად გადიდებულია. თუ წინედ გლეხი იძულებული იყო ერთი ფუთი სიმინდის შესაძენად გაეღო ორ ფუთი თხილი და მას ეს ხალისს უკარგავდა ამ პროდუქტის განვითარებისათვის, გასულ წელს ფუთი თხილის ფასმა 7—8 მანეთამდე მიაღწია. მართალია თხილი ყოველწელიწადს არ იძლევა კარგ მოსავალს, მაგრამ ის მაინც ერთ დიდმნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს გურიის გლეხობისათვის და საჭიროა მისი კიდევ უფრო განვითარებისათვის ზრუნვა.

გურიის ჰავა ხელს უწყობს აგრეთვე სხვა კულტურული მცენარეების გაშენებასაც. ამ მხრივ აღსანიშნავია მანდარინის მოშენების დაწყება გურიის გლეხობის მიერ, რომლის სათანადო მოვლა-პატრონობით შესაძლებელი გახდება დიდი შედეგების მიღება.

არის მთელი რიცხვი სხვა უფრო ნაკლებ მნიშვნელობის მცენარეებიც, რომლების გავრცელებას ხელი უნდა შეუწყოთ, მაგრამ რაც ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანია, ეს გახლავთ ჩაის კულტურის გავრცელების საქმე გურიაში, რომლისათვისაც არსებობს შესაფერი პირობები და აქვს ფართე სამეურნეო პერსპექტივებიც.

თვითმპყრობელობის დროს მბზვანის რაიონში (ოზურგეთის ახლოს) იყო პატარა რაიონი ჩაით გაშენებული, მაგრამ მის გაფართოებაზე არავინ ფიქრობდა. მიუხედავად ამისა გურიის კლიმატიური პირობები საგრძნობლად უწყობს ხელს ამ კულტურული მცენარის ფართედ გაშენებას და ამისათვის საკმაოდ მოიპოვება მიწების სივრცეც.

ჩაის გაშენების საქმეს მთავარი ყურადღება მიექცა ამ ორი1სამი წლის წინედ. დაარსდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ამ დიდი მნიშვნელობის დარგის განვითარებას. ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია საქართველოში ჩაი გაშენდეს 20.000 დესეტინაზე, ხოლო დღემდის გაშენებულია 2.000 დესეტინა, ამდნივე გაშენდება მიმიდნარე წელში.

აჭარისტანის შემდეგ ჩაის მოშენების საქმეში გურიამ პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს, და ეს ასეც ხდება. დღეს გურიაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ჩაის გასაშენებლად და ამ მუშაობისათვის შექმნილია ფრიად ხელსაყრელი პირობები. მეურნე გლეხს თითო დესეტინა ჩაის გაშენებისათვის ეძლევა გრძელვადიანი კრედიტის სახით 400 მანეთი, რაც სრულ შესაძლებლობას აძლევს მას ფართოდ მოკიდოს ხელი ამ სასარგებლო მუშაობას. მეურნე გლეხებს ეძლევა აგრეთვე აგრონომიული დახმარება, რაიონებში იხსნება ჩაის დასამუშავებელი ქარხნები და სხვა.

ერთი მთავარი პირობა, რომელიც ჩაის კულტურის ფართედ განვითარებას უწყობს ხელს ჩვენში, ეს არის ამ ნაწარმოების გასაღებისათვის ბაზრით უზრენველყოფა. ამ მხრივ საბჭოთა ბაზარი იმდენად დიდ პერსპექტივებს ქმნის, რომ, საქართველოში ამ კულტურის განვითარების უმაღლეს დონეზე ასვლის შემდეგ მხოლოდ სანახევროდ შევსძლებთ ჩაის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაშასადამე გასაღების მხრივ არასდეს არავითარ დაბრკოლებას არ ექნება ადგილი.

აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ რამდენადაც შესაძლებელია უმაღლეს წერტილამდის განვავითაროთ ჩაის მეურნეობა საქართველოს ყველა იმ რაიონებში, სადაც მისი გაშენებისათვის არსებობს სათანადო პირობები. მხოლოდ საჭიროა ჩაის პლანტაციების გაშენების დროს მთავარი ყურადღება მივაქციოთ კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბებას და მისთვის მტკიცე საფუძველის შექმნას. გლეხობა უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანება, ვინემ პრიმიტიული წესით ჩაის მეურნეობის წარმოება.

გურიაში ბლომად არის ისეთი მიწები, სადაც წინედ ტყე არსებობდა, ხოლო მისი გაჩეხის შემდეგ ხრიოკებად იქცა და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მოსახლეო-

ბისათვის. ასეთი ადგილები უნდა გადაეცეს გლეხების მიერ შექმნილ კოლექტივებს, რომლებიც შეერთებულის ძალღონით შეუდგებიან მის დამუშავებას.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე გლეხობის სამეურნეო ცოდნის გადიდებას. ამისათვის საჭიროა სამეურნეო ტიპის სკოლების დაარსება რამოდენიმე ადგილას და საცდელ-საჩვენებელი მინდვრების მოწყობა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გურიაში ჩაის კულტურის გავრცელების შემდეგ გურიის გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება და მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, შექმნის მტკიცე ბაზას მშრომელი გლეხობის კეთილდღეობისათვის.

**გურული.**

# ვედრება

**(სული პრუდომიდან)**

ჰო, რომ იცოდეთ, თუ რა ტკივილით
ჩემს გულს ობლობამ ხელი შეახო,
იქნება მაშინ თქვენ, გაივლიდით,
სადაც მე ვცხოვრობ იმ სახლის ახლო!

—:—

ჰო, რომ იცოდეთ ნათელი ცქერა,
თქვენი გულს ხვდება რა საიმედოთ!
იქნება მაშინ თქვენ წამიერად,
ჩემს ფანჯარაში შემოიხედოთ!...

—:—

თქვენ, რომ იცოდეთ გულში, ვით ქრება
თქვენს დანახვაზე ნაღველი მწარი!...
მოგივიდოდათ ეს მოფიქრება,
ჩემს კართან დაჯდეთ ვით მეგობარი!...

—:—

როგორ მიყვარხართ თქვენ, რომ იცოდეთ,
და უთქვენობით, როგორ ვარ ავად!
მაშინ სირცხვილით, თუნდაც იწოდეთ,
შემოიარდით ჩემს სანახავად!

**კატო მიქელაძე.**

# ია და ქარი

— რა ვქნა, რას ამეკვიატე, ქარო? — უსაყვედურებდა ია ქარს.

— ვერა გამიგია რა შენი, ხან მოალერსე ხარ, დამყვავებელი.

ნაზი სახელითაც კი დაგაჯილდოვეთ. სიოს გეძახით.

ხან კი დაჰფეთიანდები. სულ ზმუი, ზუზუნებ.

რა დიდი სიცოცხლე მაქვს.

ძლივს თოვლს თავი დავახწიე. ვიხილე მზე. შენ კი მიკაწრავ და მიფხრეწ ფოთლებს, თითქოს ზღარბის ეკლოვანი კანი ხელთათმანებად გეცვას და იმითი მჩხვლეტდე.

მთელი ღამის განმავლობაში შენზე ოცნებაში ვიყავი. მოვა ჩვენი სიო მეთქი,—ვსასოებდი და მოგვიტანს სითბოს, სიხარულს.

რა კარგ ამბებს გვიამბობ ხოლმე.

ჯერაც ყურში ნანინად წკრიალებს შენი ნაამბობი.

ტკბილ ზღაპარსავით დამანახსოვრდა.

შენ მეტიტინებოდი:

— შორს, შორს, მთის მწვერვალზე ჰყვავის ნარგიზი. ჰყვავის და ოცნებობს შენზე.

მე ნეტარებით ალვივსე და იმავე დროს დავნაღვლიანდი. ვერასოდეს ვეღირსები მისკენ გაფრენას.

ახ, ნეტავი შენა, პეპელავ, ფრენა შეგიძლიან! — შევნატრე მაშინვე პეპელას.

— მართალია, მართალია შენი ნათქვამი, ჩემო იავ! —მიუგო ქარმა და ღრმად ამოიოხრა.—ცვალებადია ჩემი სულის მოძრაობა. მე, უეჭველია, მოლხენილი ვარ, როდესაც თქვენ შორის ვიმყოფები.

მე მაშინ გარკვევით მესმის, რას მეჟღურტულებიან ჩაკადები, ვარსკვლავები, ან თქვენ მათ რას ეჩურჩულებით. მაგრამ...

— რა მაგრამ?..

— მაგარიც ის არის, ჩემო მეგობარო, რომ ცხოვრება ყოველთვის ისეთი მომხიბლავი როდია, როგორც გეჩვენება შენი ბუჩქის სიმაღლიდან.

იცოდე, ძვირფასო, რომ ყვავილების გარდა არსებობენ ადამიანებიც. ტანჯული და მტანჯველი ადამიანები.

როცა ყვავილთა შორის ვფრენ, მაშინ ვმხიარულდები, ვკასკასებ, მაგრამ საკმარისია სოფლისკენ გადაუხვიო რომ მყის ფიქრები ჯავრით მომენისლოს.

ისიც კი უნდა გითხრა, რომ არც იქა ვარ სრულიად უმეგობრო.

ადამიანთა შორისაც მყვანან მოყვასები.

ზოგს უმღერი სიმღერას თავისუფლებისას, გამარჯვებისას, ზოგს კი დამარცხებისას, სიკვდილისას.

უფრო ხშირად ეიფელის კოშკზე ავიჭრები ხოლმე. იქიდან უკითხავ მოზეიმე ბურჟუაზიას სიკვდილის ჟამნებს.

— ძრწოდეთ, ვალტახარნო, ძრწოდეთ!..

ახლოვდება თქვენი აღსასრული.

პანტა-პუნტით ცვივიან გვირგვინები

ყავარ-ყავარ იმსხვრევა იმპერიალისტური მსოფლიო.

ეშინიანთ, ეშინიანთ იმათ ჩემი მოძახილის.

ისინი ჩაიკეტენ კარებს, ურდულს გადუგდებენ, გააჩაღებენ მუსიკას და ცეკვავენ თავბრუ დამხვევად.

ამითა სურთ დაჰფარონ, არ გაიგონონ ჩემი ზრიალი.

სასაცილოა ცდა—გაექცე გრიგალს.

ვერ აიცდენ მას, თუნდა ცხრაკლიტულში დაიმალქუშო.

როგორც დრო-ჟამის ფოლადის ფანსკუნჯი—მე შევიჭრები მათთან და ვაფეთიანებ.

მე უფრო მიყვარს იმპერიალისტურ ევროპის „დამამშვენებელ“ ციხეების მეხვაშიაობა.

ჩამოვჯდები ტელეფონის მავთულზე, ან არა და ციხის რკინებით გადაქსელილ მოქუროშებულ სარკმელებზე, მოვმართავ სტვირ-ქამანჩას და ვბუბუნებ.

თანაც მომხიბლავ ამბებს დავმღერი: რევოლიუციაზე, თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე.

ვეჯავრები მეციხოვნეებს.

სიკვდილსავით ძრწოლას ვგვრი

ეკლის თვალით მიყურებენ. ენატრებათ ჩემი მოკვლა.

უგუნურნი!

განა შეიძლება გრიგალის დაჭერა და მოკვლა?

ვძულვარ იმ ბალყუშებს.

სამაგიეროდ ტუსაღებს ვუყვარვარ.

ცათა ფრენას ეწევიან, როცა ჩემი ფრთების ბარტყუნს გაიგონებენ.

რაც უნდა სასოება წაწყმედილი იყოს რომელიმე ამათგანი,—საკმარისია ჩემი ხმა შეესმას, რომ გარდაიქმნას, გაარწივდეს.

— დაიზუზუნე, ქარტეხილო, დაიზუზუნე! — მესმის მათი მოწოდება.

მეც მყის უსრულებ სურვილს.

ჩემის შთაბერვით ისინი შემოქმედებას ეძლევიან.

ვრცელ პოემებსა და ლექსებს მიძღვნიან.

ქაღალდი აკრძალული აქვთ და ციხის კედლები ამეტყველებულია მათი ნაწერით.

მართალია, დიდხანს არა სძლებენ ეს ლექსები.

მალ-მალ შეიჭრება გოროზი ციხის უფროსი და კირით გაალესინებს კედლებს.

ამნაირად სცდილობენ მოჰკლან თავისუფალი აზროვნება, რევოლიუციონური პოეზია.

რა იციან უზადოუკებმა, რომ ის სიმღერები მე უკვე

დასწავლილი მაქვს და დავაფრიალებ მსოფლიოში უძლეველ დროშებად.

— რასა ჰფიქრობენ ტუსაღები? — შეეკითხა ია ქარს, როცა ის სულის მოსათქმელად გაყუჩდა.

— ვინ შესძლებს, მეგობარო, ტუსაღის ოცნების გადმოცემას.

იმაზე მდიდარი არა არის რა, როგორც რევოლიუციონერ პატიმრის ფიქრი.

არავინ ისე აღტაცებული და შეყვარებული არ არის თავისუფლებაზე, როგორ ისინი, ვინც თავისუფლებას დანატრებულია.

სწორედ ციხის ბნელმა საკნებმა წამოაფრქვევინა მგოსანს უკვდავი სიტყვები:

მხოლოდ ციხეში ეზმანება კაცს ოქროს სიზმრები თავისუფლებაზეო.

დიახ, ციხის ყვავილებია კაცთა ბედნიერებაზე ფიქრები.

წარმართულ ენტუზიაზმით მოფართქალეა პატიმრის გული, მაგრამ ხანდახან ისიც იფლითება კაეშანის მარწუხებით.

იმ დღეს მეტად ნაღვლიან საუბარს მოვკარი ყური.

ერთი ტუსაღი მეორეს ეუბნებოდა:

— რა ხუსტურებიანია ისტორია! ოდესღაც პირველად აქ პარიზში გაჩაღდა დიდი რევოლიუციის ხანძარი. შეიმუსრა საუკუნოვან ცოდვებით დამძიმებული ბასტილია.

აქვე დაიგუგუნა კომუნის პირველმა ზარბაზნებმა, შეაშფოთა და გააფეთიანა ბევრი ქვეყანა.

პარიზი გამოცხადდა რევოლიუციის წმინდა სამშობლოდ.

რევოლიუციის ერთი ძველი ფანატიკოსი ისე შეარხია პარიზმა და კომუნარების შარავმდედიანმა პანთეონმა, რომ კინაღამ გავარვარებული აგურით თვალები არ ამოიწვა.

— ამის უმშვენიერესს ვერას იხილავენ ჩემი თვალები და რაღად მინდანან იგინი, რაღას ვუყურო ამ თვალებით ჟანდარმულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაო.

ნეტავი წამოახედა იგი სამარიდან და დაანახვა, თუ რა დღეშია საკაცობრიო იდეალების სამშობლო — საფრანგეთი.

დღეს აქ კაპიტალს ჰიმნებს უთხზავენ ყველა ჯურის ქარბნები, პოეტები, მუსიკები, მოქანდაკენი.

ამას სჩიოდნენ ტუსაღები.

შემალონა მათმა ნაღველმა.

მე ფრთები ფრთებს შემოვკარი და ომახიანად შევძახე:

— მეგობრებო, რამ გადაგჩეხათ სასოწარკვეთილების ნაპრალებში. რევოლიუციის სამშობლოს დაქვრივება დროებითაა.

მალე რადიოები სივრცეებს დაჰლარავენ ნეტარი ძახილით.

— იხარებდეთ, მეორე და უკანასკნელად შეიმუსრა ბასტილია.

შავი ნადიმი შესცვალა წითელმა ზეიმმა.

მისი თამადაა:

ქუჩა მრისხანე, ქუჩა ძლიერი, ქუჩა შურისმაძიებელი.

ელოდენით ამ ჟამს. უკვე გაისმის ახალ მერნების ტოროების ცემა.

იყავით მტკიცენი, როგორც რომაელთა რკინის ლეგიონები.

იყავით უშიშარნი, ვით გლადიატორები

. . . .

მიჯერებენ ტუსაღები.

ჰფხრეწენ უსასოების ძაძებს.

იმედების მზეები ენთებათ გულში...

გაჩუმდა ქარი.

იაც სდუმდა.

გული ისე აჰყუჩებოდა, რომ ხმას ვერ იღებდა.

მხოლოდ მარგალიტის ცრემლი კამკამებდა მისს ხასხასა, ქუფრ ყვავილზე.

— მაშ, იცი რა? — კარგა ხნის შემდეგ წარმოსთქვა იამ, — მომწყვიტე და წამიღე იმ ტუსაღებთან.

ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ მოვგვრი მათ ტკბილ ღიმილს. ისინი ხომ დანატრულებული იქნებიან ბნელს საკნებში ყვავილებს.

— ვერა, ვერ მოგწყვეტ, კეთილო იავ!

ტუსაღები შენს მოწყვეტას არ მომიწონებენ.

— ვითომ რატომაო?

— შეებრალები.

— რევოლიუციონერი და სიბრალული?

— საქმეც ეგაა! ვერ წარმოიდგენ, რა სათუთი გულისანი არიან. მტერთან ულმობლობას იჩენენ, ხელი არ აუკანკალდებად, რომ მისთიბ-მოსთიბონ მათი რიგები.

მაგრამ ამავე დროს ენანებათ ყველა მშვენიერი.

ლაზუა ბელურების სიკვდილიც კი ძრუანტელსა ჰგვრის.

ერთი ციცქნა ყვავილის დაჭკნობაც კი თვალს უცრემლიანებს.

რომ მოგწყვიტო, შესწუხდებიან, შემომწყრებიან.

— არა, მაგისი შიში ნუ გაქვს მე აუხსნი, ყვილაფერს გავაგებინებ. ვეტყვი, რომ მათი ნახვა მომენატრა.

დიდი ხნის სიცოცხლე ხომ მაინც არ მიწერია

ალსასრული მიახლოვდება.

საცაა გამოჩნდება ყვავილების გამყიდავი

ყველა ყვავილებს დაგვკრეფს.

წაგვიღებს ქალაქში და დაიწყებს ჩვენით ვაჭრობას.

ვინ იცის, ეგება ისეთმა გაქსუებულმა მიყიდოს და მკერდზე გამიბნიოს, რომელსაც გული გველ-ბაყაყებით აქვს სავსე.

ნუ, ნუ დამტოვებ, მომწყვიტე.

წამიღე მათთან, ვინც იბრძვის მზისათვის, თავისუფლებისათვის, მშვენიერი ცხოვრებისათვის.

—:—

ქარმა ია მოსწყვიტა, გაიტაცა.

სარკმლიდან ტუსაღებს შეუგდო.

— ბიჭოს, ია! რა უნდა აქ იას?

— შენი გულისა, შენი!

— რა ლალანაა!

— რა სურნელოვანია!

იასაც ნეტარების ცრემლები სცვივა, თუმცა უკვე გაცრეცილია.

საცაა დასჭკნება. სულს განუტევებს.

სანატრელია ასეთი სიკვდილი.

**დ. თურდოსპირელი.**

## ჟურნალზე ხელისმოწერა მიიღება

გაზეთ „კომუნისტის" მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, რევოლიუციის მუზეუმი, **პეტრე გელეიშვილს.**

**პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.**